რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 23 მარტი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 20 კაპ.

გაზეთი ღირს: ერთი თვით 4 მ. 50 კ., ორი თვით 9 მ., სამი თვით 13 მ. 50 კ. ექვსი თვით 27 მ. ერთი წლით 50 მ. ცალკე ნომერი ყველგან 20 კაპ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება უნდა მოიტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 საათ. ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ, почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". სხვა ადრესით გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 67 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 67

ალაქის სოც.-დემოკ. ორგ. კოლექტივი ღრმესი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს თავისუფლებისათვის დაუღალავ მებრძოლ ამხანაგების

ვარლამ ჭანტურიშვილის
და
პეტრე ჩხაიძის

რევოლიუციონურ პოსტზე ტრაღიკულად გარდაცვალებას. (1—1)

ღრმად დამწუხრებული მეუღლე საშა, შვილები: სერგია, შალვა, მიშა, პავლე, გიორგი და თამარა, ძმა დიმიტრი, რძალი მარო, დაი ეკა, დის შვილები: ეპრაქსია და ესე ქლენტები, და ნინა ბაქრაძე, მამიდას შვილი იაგორ გოგიბერიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს ექვს საათზე მიცვალებულის ბინაზე (გაზაევის შესახვევი № 1) დასაფლავება მოხდება კვირას 25 მარტს თფილისში წმინდა ნინოს სასაფლაოზე. მიცვალებულს გამოასვენებენ დღ. 12 საათზე თავის ბინიდან. წირვა და პანაშვიდი დაკრძალვის დღეს კოლუბანის ტაძარში. წერილები არავის არ გაეგზავნება. (3—1)

ღრმად დამწუხრებული ქვისლი ლევონ დიმიტრის ძე ქლენტი და მეუღლე მისი ვარვარა მიხაილის ასული ქლენტისა აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს მოქალაქე

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. (3—1)

ღრმად დამწუხრებული სიდედრი ფატმან ივლიანეს ასული ქილაძისა, ცოლის დაი ოლია, ცოლის ძმები: ქიქიკო და ევტიხი ქილაძენი, სევერიანე ყენია შვილით მარუსათი აუწყებენ ნათესავთ ნაცნობთ საყვარელ სიძის

ალექსი ესეს ძე ხუნდაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება კვირას 25 მარტს, წერილი არავის გაეგზავნება (3—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მღ. სილიბისტრო და სერმილო ალმასხანის ასული, ძმები: მღ. ეპიფანე, არონ, ამმონ, ანტონ, ძმის შვილები: გიორგი, შალვა, და ნოე ჩხაიძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას 18 მარტს თათრებთან ბრძოლის დროს ჯავშნიან მატარებელზე ტრაღიკულად მოკლულ იქმნა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პეტრე ჩხაიძე

მიცვალებულს ჩამოასვენებენ თფილისში, საიდანაც შემდეგ წაასვენებენ სამშობლო გურიაში. (2—1)

17 მარტს 1918 წ. სოფ. ნაქალქევში საკუთარ სახლში გარდაიცვალა ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ, 23 წლის სტუდენტი

იასონ ზურაბის ძე საჯაია.

რასაც გამოუთქმელი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, ნაცნობთ და ამხანაგებს დამწუხრებულნი: დედა სოფიო ცხვიტარიას ასული, დები: მაშიკო, ტერეზია და ალათი და ბიძა მიცვალებულისა კაცო საჯაია და სიძეები: შარვან უჩაძე, ნესტორ ჩიქობავა და ერასტო ჯავახია. დაკრძალვის და უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია 24 მარტს (შაბათს) ნაშუადღევის 4 საათზე ნაქალაქევის წმინდა კონსტანტინე და კვირიკეს ეკლესიის გალავანში. (1—1)

წარმოუდგენელ მწუხარებაში მყოფნი: მეუღლე ნატალია, შვილები: ლუბა, კოლია, მიშა, ნადია და ვერა, დაი ეკატერინა, ძმები: ილია, ბესარიონი, ვასილი და ალექსანდრე, რძლები: მინადორა, ოლია, ირინე, ნინა, ოლია ფილიპეს ასული, ნინა მიხეილის ასული და სიძე ვ. დემურია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ თათრის ფრონტზე ვერაგულად მოკლულ იქმნა სამხედრო სამმართველოს მდივანი

ერმალოზი ნიკოლოზის ძე გოგავა

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 ს. საკუთარ სახლში, რუზანის ქ. სულის მოხსენება დანიშნულია შაბათს, 24 მარტს, დღის 3 საათზე. (1—1)

გულითადი დამწუხრებულნი ძმები: ბესარიონი და ალექსანდრე, და ეკატერინა, რძლები ოლია და ნინა აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ უძვირფასესი ძმის

ერმალო ნიკოლოზის ძის გოგავასი

ტრაღიკულად მოკლვას ქურთების მიერ არქიშის ახლოს. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე. სულის მოხსენება დანიშნულია 24 მარტს 3 საათზე, საკუთარ სახლში, რუზანის ქუჩა. (1—1)

## სახლის კომიტეტების კრება

პარასკევს 23 მარტს, დღის 5 საათზე ნაძალადევის თეატრში დანიშნულია 10, 11 და 12 სამლ. უბნის სახლის, ბინის და რაიონულ კომიტ. წარმომადგენელთა

## საერთო კრება.

განსახილველია საკითხი პურზე ფასის მომატების შესახებ, ქალაქში სასურსათო საქმის მდგომარეობის შესახებ მოხსენებას გააკეთებს ქალაქის გამგეობის წევრი დ მ. პოპოვი. აუცილებელია ყველა წარმომადგენლების დასწრება, რადგან გასარჩევია მეტად საყურადღებო საკითხი.

(2—2) ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილება.

## ანარქისტები ძლიერდებიან

ბოლშევიკების საქმიანობამ მთელი რუსეთი დაანგრია და ახლა ისინი საბედისწეროთ ჩვენ გვევლინებიან. ანარქო-კომუნისტურმა პარტიამ მეცნიერულ სოციალიზმის შინაარსი უარჰყო და თავიანთ სამოქმედო პროგრამათ კომუნიზმი დაისახა. კომუნისტურმა მოძრაობამ კი, როგორც მოსალოდნელი იყო, ყველგან ანარქია და არევ-დარევა გააბატონა და სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა მინიმუმის განხორციელება შეუძლებლათ გახადა. ის, რაც მთელი რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიულ პარტიის სამოქმედო პროგრამას შეადგენდა,—დღეს არა მკითხე ბოლშევიკებმა სიყალბეთ გამოაცხადეს და ანარქისტული მეთოდის მეოხებით არსებულ საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებათ გარდაქმნას შეუდგენ. სამოცდაათი წელიწადი მეტია, რაც სოციალ-დემოკრატიული პარტია ანარქო-კომუნისტებს ებრძოდა და დასავლეთ ევროპაში იგი საბოლოვოთ დაასამარა. მხოლოდ რუსეთში, ბოლშევიკების მეოხებით, მან კვლავ თავი წამოყო და მარქსიზმის იდეოლოგიის მოსპობა მოინდომა. რასაკვირველია, რევოლიუციამ და გლეხთა მოძრაობამ მათ ერთგვარი ნიადაგი მოუმზადა და აქ ფართო სამოქმედო ასპარეზი იპოვეს. თვით ძველადაც კი, ანარქისტული მოძრაობა ღონიერ ნიადაგს გლეხთა მოძრაობაში ჰპოვებდა და ყველგან იგი გლეხთა მოძრაობის ხასიათისა ყოფილა. ანარქო-კომუნიზმი წვრილ ბურჟუაზიულ გლეხთა მოძრაობის მოძღვრებას შეადგენს, გაწვრთნილ და შეგნებულ სამრეწველო პროლეტარიატში მას გასავალი არა აქვს. მხოლოდ მუშებში ბოგინობს, რომელნიც სოფელთან დაკავშირებული არიან და მეშჩანური ფსიხიკით გაჟღენთილნი. ვინ არ იცის, რომ თანამედროვე ურთიერთობა, არსებული კაპიტალისტური წარმოების წესი ბოლშევიკურ კომუნიზმს ვერ აიტანს და საცა იგი ფეხს მოიკიდებს—ყველგან ანარქიას გაბატონებს.

ამის მაგალითი ერთობ მრავალია. დღეს ჩვენშიაც ბოლშევიკების კომუნიზმი ამ სახით მოგვევლინა და მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მრავალი დამოუკიდებელი ერთეულები წარმოშვა. ბაქო თავისი სამრეწველო მიდამოებით ამიერ-კავკასიას მოსწყვიტეს და სახელმწიფოში სახელმწიფო გააჩინეს.

ეჭვს გარეშეა ასეთი ურთიერთობა მთელ საქონლის წარმოებას და საქონლის გაცვლა-გამოცვლას უაღრესათ აფერხებს.

უფრო სავალალო და დამქცეველია ბოლშევიკების მოძრაობა სოფლათ. აქ მათ სავსებით ნიღაბი აიხადეს და თავიანთ მოქმედებას ძალმომრეობა საფუძვლად დაუდვეს. ასეთია გლეხთა კომუნიზმი და მათი სოციალიზმი: ანარქისტულათ ნაწარმოების განაწილება და დატაცებით სიმდიდრის შეძენა. თვით ნეტარ ხსენებული ბაკუნინი ავაზაკ-ყაჩაღებს რევოლიუციონერებათ აღიარებდა და მათ მოძრაობაზე დიდ იმედებს ამყარებდა. როცა ბოლშევიკების სოფლათ მოღვაწეობას თვალ-ყურს ადევნებ გახსენდება ბაკუნინის წარსულ საუკუნის ორმოცდარვა წლების მოღვაწეობა შვეიცარიის მივარდნილ ადგილებში, და იქ მისი „რევოლიუციონური" საქმიანობა. განსხვავება ისაა, რომ ბაკუნინის მოღვაწეობა მასიურ მოძრაობას ვერ ქმნიდა და აქ კი ბოლშევიკები მთელ ცხოვრებას აფერხებენ. მარქსისტული მოძრაობა თავისი შინაარსით მუდამ და ყოველთვის ანარქისტულ მოძრაობის დაუძინებელი მტერია და ყოველი შეგნებული სოციალ-დემოკრატი მას სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლას უწევს. ამიერ-კავკასიის შეგნებული დემოკრატია, მისი ავანგარდი მუშათა კლასი შესძლებს ანარქისტ-კომუნისტების მოღვაწეობის შეჩერებ ს და შორს აღარ არის ის დრო, როცა ბოლშევიკები თავის ახალ ფირმითაც სავსებით გაკოტრდებიან და შეგნებული დემოკრატია მათ სავსებით ზურგს შეაქცევს. აი სწორეთ მაშინ მოეღება ბოლო ჩვენში ბოლშევიკურ ანარქიას და სოციალ-დემოკრატიული პარტია მკვიდრ ნიადაგზე დამყარდება.

## საერობო კავშირი

ერთი განსაკუთრებული სენი დასჩემდა ყველა იმ ორგანიზაციებს, რომელთაც ლიკვიდაცია მოელის. არც ერთი არ იკარებს სხვის ჩარევას, თუნდაც ეს ჩამრევი მართველობის ორგანო იყოს. თვითეული თავის სურვილისამებრ სწყვეტს თავის მომავლის ბედს, თხოულობს სუბსიდიებს და სიტყვის შებრუნებასაც არ კადრულობს. პირიქით პრესის საშუალებით თვით ცდილობს შავი ლაქა მოსცხოს ყველას, ვინც მას მახლობლათ გაივლის და მას რაიმეს უბრძანებს.

საერობო კავშირსაც, რომელიც ომიანობის გამო იყო შექმნილი და ომის ლიკვიდაციის გამო არსებობის მთავარი საფუძველი გამოეცალა, არ სურს თავის ქონება ამიერ კავკასიის ქონებათ იცნოს. არამედ თვით აპირებს ამ ქონების ისე მოწესრიგებას და განაწილებას, როგორც მოესურვება. მას მიუღია დადგენილება: ქონება უნდა მომავალ ამიერ კავკასიის ერობას გადავცეთო. მაგრამ სანამ ეს ერობა შეიქმნებოდეს? მანამდე თვით ასხედან ამ ქონებას და არა მგონია ამით ქონებას რაიმე ემატებოდეს. ლიკვიდაცია ამ დაწესებულების აუცილებლივ საჭიროა. მაშასადამე თვით ეს ორგანიზაცია უნდა დაინტერესებული იყოს, რომ ეს ლიკვიდაცია ისეთ პირობებში მოხდეს, როცა მის მომუშავეთა შესახებ არავითარ ეჭვებს ადგილი არ ექნება. მათი საქციელი კი სწორეთ ეჭვების აღმძვრელია. გარეშე ხელის მიკარების, კონტროლის ეშინია მხოლოდ იმას, ვინც ვერ გრძნობს თავის ნამოქმედარში სრულ სისწორეს და იმედი არ აქვს ანგარიშის სისწორით ჩაბარების. სწორეთ ასეთ ზნეს იჩენს საერობო კავშირიც, რის გამო სამართლიანათ იწვევს ეჭვებს დემოკრატიულ და რევოლიუციურ წრეებში.

ამ ბოლო დროს ამ კავშირის მოღვაწენი განსაკუთრებით აუხირდენ კომისარს, ტერ-გაზარიანს და სალიკვიდაციო კომიტეტს. ყოველი ამათი მოქმედება ბარბაროსობათ მონათლეს, ხოლო თავის თავი უაღრეს დემოკრატებათ. მაგრამ ნუ თუ არ იციან ამ უაღრესმა დემოკრატებმა, რომ ეს კომიტეტი, დაარსებულია საერთო რევოლიუციური ცენტრის ნებართვით და მონაწილეობით, რომ ტერ-გაზარიანმა არა ერთხელ სიტყვიერათ ვრცელი მოხსენებები გაუკეთა ცენტრს თავის მოქმედებაში, ერობის და სხვა ორგანიზაციების ლიკვიდაციის საქმეში და რომ იმის მიერ მიღებული ზომები მოწონებულ იქნა რევოლიუციური ცენტრისაგან?

ამ ბოლო დროს ერობის მუშაკებმა გაახშირეს ტერ-გაზარიანზე თავდასხმა გაზეთების საშვალებით და თხოულობენ მის გადაყენებასაც კი მისი ვითომდა არა დემოკრატიული მოქმედების გამო.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა აღნიშნული ფაქტების აღნუსხვას, რომელიც „რესპუბლიკის" ვრცელ ფელეტონშია მოყვანილი. ვიტყვით მხოლოდ ერთს: ერობის ვექილი სწერს, რომ საათთიაქო საწყობის რევიზია მინდობილი ჰქონდა ისეთ პირებს, რომელთაც არაფერი ესმით აფთიაქისა. ჩვენ კი გადაჭრით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ რევიზიას ხელმძღვანელობდა ფარმაცევტებში კარგათ ცნობილი ჩვენი ამხანაგი, რომელსაც აფთიაქის ცოდნიერობას ყოველ შემთხვევაში, ვერავინ ვერ დასწამებს. ჩვენ ვიცით ზოგიერთი სხვა ფაქტებიც ამ ფელეტონში აღნიშნული, რომელთა შესახებ თამამათ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ისინი მეტათ ცალმხრივათ ან სრულიად ყალბათ არის გაშუქებული და ხშირათ აღნუსხულიც. მაგრამ მათს აქ ჩამოთვლას არ შეუდგებით, ეს არც შეადგენს ჩვენს წერილის საგანს. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ აღვნიშნოთ ერთი გარემოება. საერობო კავშირის, ისე, როგორც სხვა სამხედრო—საზოგადოებრივ დაწესებულებების ქონებას, როგორც ეს გამოირკვა რევოლიუციურ ცენტრების კრებებზე მოსმენილ მოხსენებებიდან, ულმობლად იტაცებს ყველანი, ვისაც კი სურს. ამას ვერც ფელეტონის ავტორი ბ. ებ. კლეინი უარყოფს.

და აი სწორეთ ეს დატაცება საზოგადოებრივი საკუთრების, რომელსაც ადგილი აქვს საერობო კავშირშიც, იძულებულს ხდის ამიერ-კავკასიის მთავრობას მიიღოს შესაფერი ზომები. იგი ბეჭდავს საწყობებს, აყენებს ყველგან თავის ყარაულებს, იგი თხოულობს ყველასგან მორჩილებას და შესრულებას იმ დემოკრატიული ორგანიზაციების ნებისას, რომლის შესრულება მას აქვს დავალებული.

საერობო კავშირი, ისე, როგორც სხვა ბევრი მისგვარი ორგანიზაციები, დღეს უნდა გაუქმებულ იქნენ. მათი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს და ერთი მიბრძანონ, რა უფლებით თხოულობს ბ. კლეინი ან სხვა ვინმე, რომ სახელმწიფოს სათავეში მდგომმა მთავრობამ ღონისძიება არ მიიღოს ამ ქონების შესანახათ და მოსახმარათ. რა უფლებით უძახიან ამ ქონებას „თავის ქონებათ" საერობო კავშირში მოსამსახურენი? კავშირი ხომ მათი მამულ-დედული არ არის.

ჩვენ გადაჭრით ვამბობთ, ყველა ის ზომები, რომელსაც იღებს ტერ-გაზარიანი მხოლოდ ერთ ნაკლს შეიცავენ, მათ ეტყობა სისუსტე და გაუბედაობა. ბევრს სწერენ და ცოტას აკეთებენ. ამ ხნის განმავლობაში კი ქონება მილიარდათ ღირებული იფლანგება.

და რევოლიუციური კრაევოი ცენტრი არა ერთხელ თხოულობდა და სამართლიანადაც თხოულობდა უფრო გაბედულ და გადაჭრილ ზომების მიღებას ამ დაწესებულებების წინააღმდეგ, რომელნიც დემოკრატიზმის სახელს იფარებენ და დემოკრატიის ნება-სურვილს კი არ ემორჩილებიან. ნუ თუ დემოკრატიის სახელის მითვისება კმარა, რომ პასუხი არ მოგეთხოვოთ? თვითმპყრობელობაზე მითითება აქ არაფერს შუაშია. მეფე თხოულობდა მათ წინააღმდეგ ზომების მიღებას ბიუროკრატიის სახელით. ჩვენი დემოკრატიული მთავრობა იღებს ზომებს დემოკრატიის, ხალხის სასარგებლოთ და ამ დემოკრატიის სურვილის თანახმად. დროა ეს იცნონ კავშირის მოღვაწეებმა და დაუსრულებელ წინააღმდეგობას თავი გაანებონ.

## პრესა

„სახ. საქმე" ეხება დღევანდელ მდგომარეობას, რომელიც იმდენათ შემაძრწუნებელია, რომ არ შეიძლება კაცი არ დააფიქროს.

„ასეთი ანარქია და არევ-დარევა ჯერ ჩვენ არ გვინახავს. სამოქალაქო ომის ცეცხლი გაჩაღებულია, აღარ ვიცით, ვინ არის მტერი და მოყვარე, აღარ ვიცით, ვისთვის რას ნიშნავს რევოლიუცია, დემოკრატია, სამშობლო".

ასეთ ანარქიაში გაზეთის სიტყვით, დაიღუპება მთლათ ერი, კავკასია და მისი რევოლიუციური მოპოვებანი. მით უმეტეს, რომ გარეშე მტერი სდგას საზღვარზე და გაშმაგებული იბრძვის რევოლიუციის და ჩვენი ქვეყნის დამორჩილებისათვის. ყველა აქედან გაზეთი თავის სამოქმედო პროგრამათ ისახავს შემდეგს:

„სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ამ ანარქიაში ხედავს სამშობლოს და რევოლიუციის განსაცდელს, სოც.-ფედერალისტების პარტია ამ ანარქიის დასათრგუნავათ რევოლიუციონურ მთავრობას მხარს დაუჭერს თავის რაზმებით, რათა ამ გზით აღდგეს მთლიანი შინაური რევოლიუციონური ფრონტი.

ყოველ პირობის გარეშე (ხაზი ჩვენია) ჩვენ ამ გადაუდებელ წუთის საბედისწერო საკითხში იქა ვართ, სადაც უნდა ვიყოთ რევოლიუციასთან და სამშობლოსთან".

სრულიად სამართლიანია გაზეთის მიერ წამოყენებული დებულება. ასეთ კრიტიკულ გადამწყვეტ მომენტში ყოველი მოქალაქე, რომელიც მოღალატეობის სენით არ არის შეპყრობილი, იქ უნდა იყოს, სადაც მთავრობა იბრძვის ანარქიის ჩასაქრობათ და ქვეყნის გადასარჩენათ და მთელი თავის არა მარტო რაზმები, ე. ი. ფიზიკური ძალა, არამედ მთელი თავის მორალური გავლენაც უნდა დასდვას სასწორზე, რომ ქვეყნის ბედი გადარჩენისაკენ გადახაროს. ს. ფედერალისტთა პარტია ამ ქამათ სწორ აზრებს გამოსთქვამს და იმედი უნდა ვიქონიოთ მას იგი ბოლომდე შეირჩენს, უადგილო კამათისა და უდროო დავის ნაცვლათ დღეს მთავრობასთან ერთათ დავიცავთ იმას, რასაც საარსებო მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნისა და დემოკრატიისათვის. პარტიულ და პროგრამულ დავას შემდეგაც მოვესწრებით, თუ შეგვრჩა არსებობა და მოგვეცა ნიადაგი შემოქმედებითი მშვიდობიანი მუშაობისათვის.

დღეს ყველა ძალები ერთათ უნდა იყონ! ასეთია მომენტის დავალება. დღეს განზე მხოლოდ მოღალატე გადგება!

* * *

ბაქოს ბოლშევიკების მუხანათურ გამოსვლის შესახებ „იზვესტია" სწერს:

„უკეთესი მოკავშირე ოსმალეთს არც ეყოლება. ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ ჩვენი მტრის მთავარი კოზირია, ეროვნული ბრძოლის გაჩაღება ჩვენს მხარეში. ოსმალეთი ცდილობდა და ცდილობს სომეხ თათართა შეტაკება გამოიწვიოს ამიერ-კავკასიაში".

ჩვენ მეტსაც ვიტყვით. ოსმალეთი დასავლეთ გუბერნიებში ასეთსავე შუღლს და მტრობას სთესს მუსულმან და ქრისტიან ჯარისკაცებს შორის.

ბოლშევიკები აქაც მეგობრულათ ხელს უწვდიან ოსმალეთის ფაშებს.

ბოლშევიკების გამარჯვებაც კი არ დარჩება უშედეგოთ და უნაყოფოთ ოსმალეთისათვის. ლენინის მთავრობის შემოსვლა ამიერ-კავკასიაში აუცილებელს გახდის ბრესტის ხელშეკრულების განხორციელებას. ე. ი. ყარსის, არტაანის და ბათუმის ოსმალეთისთვის გადაცემას. ოსმალეთის ფაშებსაც სწორეთ ეს აქვთ საზრუნავი.

„ამ გვარათ ბოლშევიკებმა, მიყიდეს რა ვილგელმს რუსეთი, ახლა მოღალატურ პოლიტიკას აწარმოებენ ამიერ-კავკასიის მიმართაც, რომელიც ჯერ კიდევ მტკიცე ბურჯათ უდგას რევოლიუციას".

ბოლშევიკებისგან მეტს რას უნდა მოველოდეთ? მათ ბრესტში პირობა მისცეს გერმანია-ოსმალეთის მთავრობას, რომ ხელს შეუწყობენ ოსმალეთს ანატოლიის საზღვრების აღდგენაში და აი ამ ხელშეკრულების თანახმათ თავს ესხმიან კიდეც ამიერ-კავკასიის მთავრობას, რომ იგი დაამხონ და ოსმალეთი დააკმაყოფილონ. ბოლშევიკები ფეოდალურ აზიურ დესპოტიზმს ამოუდგენ გვერდში რევოლიუციურ დემოკრატიის წინააღმდეგ.

მაგრამ საკვირველი უფრო ისაა, რომ ასეთ ავანტიურის ქსელში ეხვევა ბაქოელი დაშნაკცაკანებიც. მაგრამ დაშნაკელები როდის არ იყვენ ავანტიურისტები?

## სადგილ-მამულო რეფორმა

შემთხვევით არ არის ის გარემოება, რომ პირველი კანონი ამიერ-კავკასიის სეიმისა ეხება მიწის საკითხს.

მიწის საკითხი ჩვენში ძალზე გამწვავებულია, მის საჩქაროთ გადაჭრას მოითხოვდა მცხოვრებთა დიდი უმრავლესობის ინტერესები. ამიერ-კავკასია უმთავრესად მიწად-მოქმედების ქვეყანაა. ამიტომ სადგილ-მამულო ურთიერთობის მოუწესრიგებლობა დიდათ აფერხებს საწარმოვო ძალთა განვითარებას, ხელს უშლის მცხოვრებთა ეკონომიურ და კულტურულ აღორძინებას. განსაკუთრებით დღევანდელ პირობებში, როცა სასურსათო კრიზისი თავს დაგვტრიალებს, როცა ჩვენი მდგომარეობა მოითხოვს ყველა ძალთა და საშუალებათა გამოყენებას, პირდაპირ საბედისწერო იქნებოდა, თუ ჩვენ არ გადავსჭრიდით საჩქაროთ მიწის საკითხს და ერთის მხრით კვლავ დარჩებოდა მემამულეთა მცირერიცხოვან ჯგუფის ხელში დიდძალი მიწა, ხოლო მეორეს მხრით მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, მიწის მუშები, ისევ დარჩებოდენ უმიწაწყლოთ.

სეიმს, როგორც სახალხო წარმომადგენლობას, არ შეეძლო ამ გარემოებისათვის არ მიექცია ყურადღება, სანამ იგი ანგარიშს უწევს ხალხის მოთხოვნილებებს. ამიტომ იყო მან, დაიწყო საკანონმდებლო მუშაობა თუ არა, უპირველეს ყოვლისა გადასჭრა მიწის საკითხი, მიიღო შესაფერი კანონი.

მთელი ქვეყნის, კერძოთ მშრომელი მასსის ინტერესები მოითხოვს, რაც შეიძლება დაჩქარებით გატარდეს ცხოვრებაში ეს კანონი. მიწათ-მოქმედების სამინისტრო ენერგიულათ შეუდგა ამ კანონის განხორციელებას. ამ მიზნისთვის

სეიმის დადგენილებით მას გადაეცემა 1200 ათასი მან. სამინისტრომ უკვე დაგზავნა სხვადასხვა ადგილებში თავის რწმუნებულები, რომელთა დანიშნულება ხელი შეუწყონ ადგილობრივ მიწის რეფორმის განხორციელებას.

ამნაირად, მიწათ-მოქმედების სამინისტრო ყოველგვარ ზომებს ღებულობს, და ჩვენ დარწმუნებული ვართ, შემდეგშიაც მიიღებს მიწის კანონის დაჩქარებით განსახორციელებლათ.

მაგრამ თუ თვით დემოკრატიამ, ფართო მასამ არ მიიღო აქტიური მონაწილეობა ამ საქმეში, მიწის რეფორმა შეფერხდება, იგი სასურველი სიჩქარით ვერ გატარდება ცხოვრებაში. ჩვენი მდგომარეობა კი მოითხოვს, რაც შეიძლება დაჩქარებით ჩამოერთვას მიწა მემამულეებს და გადაეცეს იგი მიწის მუშებს. უკვე გაზაფხულია, ყანების დამუშავების დრო იწყება. მეორეს მხრით სასურსათო კრიზისი თანდათან მწვავდება და თუ დღესვე არ ვიზრუნეთ, დღესვე არ მივიღეთ ზომები მის წინაამდეგ, მომავალი ამ მხრით კიდევ უფრო მკაცრი იქნება. არ უნდა დარჩეს დაუმუშავებელი არც ერთი ნაჭერი მიწა. ამისთვის კი საჭიროა მიწის მუშას დროზე მიეცეს მიწა. ეს მოხდება მაშინ, როცა თვით მიწის მუშები მიიღებენ პირდაპირ და ახლო მონაწილეობას მიწების ჩამორთმევის საქმეში.

ინსტრუქციის ძალით ჩამოსართმევ მამულების სიას ადგენს ხარჯის ამკრეფი ინსპექტორი და მხოლოდ ამ სიების შედგენისა და შესწორების შემდეგ მოხდება მიწების ჩამორთმევა. ადგილობრივ დემოკრატიამ თვალყური უნდა ადევნოს რაც შეიძლება დაჩქარებით და სისწორით იქნას შედგენილი ეს სიები და თავის დროზე წარედგინოს საადგილ-მამულო კომიტეტებს. მიწა უპირველეს ყოვლისა უნდა მიეცეს უმიწაწყლო გლეხებს. ამას უნდა მიაქციონ ყურადღება სამაზრო საადგილმამულო კომიტეტებმა, რომლებიც ანაწილებენ მიწებს და აწესებენ იჯარას.

სამაზრო საადგილ-მამულო კომიტეტებმა ინსტრუქციის თანახმათ უნდა მიიღონ აგრეთვე სასურსათო კომიტეტებთან ერთად ყოველივე ზომები, რომ არც ერთი ნაჭერი მიწა არ დარჩეს დაუმუშავებელი. 17 მარტის კანონის თანახმათ მემამულეებს უნდა ჩამოერთვას სამუშაო იარაღებიც. ამნაირათ, მიწის მუშებს ეძლევათ აგრეთვე სამუშაო საშუალებაც. ისინი უნდა შეეცადონ სავსებით გამოიყენონ რევოლიუციის ეს მონაპოვარი. ამით ხელს შეუწყობენ დემოკრატიის გაძლიერებას, საერთო საქმის განმტკიცებას. დღეს ყველა თავის პოსტზე უნდა იდგეს, ყველა პირნათლათ უნდა ასრულებდეს თავის მოვალეობას რევოლიუციისა და ქვეყნის წინაშე. ყველას უნდა გვახსოვდეს, ფრონტის სიძლიერე მოითხოვს ზურგის სიძლიერეს. ზურგის გამაგრება იმავე დროს არის ფრონტის გამაგრება. ამიტომ, ვისაც არ შეუძლია იარაღის ტარება, ვინც რაიმე მიზეზის გამო არ დგას დღეს მებრძოლთა რაზმში და სოფელში დარჩენილა, იგი მთელი ძალღონით უნდა შეეცადოს ზურგის გამაგრებას. ეს კი მოითხოვს სოფელში სამეურნეო მუშაობის გაჩაღებას და მიწის რეფორმის დაჩქარებით განხორციელებას, რაც ნიადაგს გამოაცლის ანარქიულ გამოსვლებს და მით ხელს შეუწყობს დემოკრატიის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეს.

**ვ. ნიკურაძე.**

---

### აგრარულ კომისიაში.

მიწის კომისიამ 18 მარტის სხდომაზე მოისმინა სამიწათმოქმედო უწყების მოხსენება მის მუშაობის საერთო გეგმის შესახებ. დეკემბერში ამიერ-კავკასიის საადგილ-მამულო კომიტეტთან შესდგა თათბირი. თათბირი გაიყო სამ სექციათ, რომლებიც შეუდგენ სტატისტიკურ მასალების, საორგანიზაციო და 1917 წ. 16 დეკემბრის დებულებიდან გამომდინარე საკანონმდებლო კითხვების განხილვას. საორგანიზაციო სექციამ უკვე შეიმუშავა დებულება საადგილ-მამულო კომიტეტების რეორგანიზაციისა და ზედმეტ დაწესებულებათა გაუქმების შესახებ.

ამ დებულებას განსახილველათ სეიმს წარუდგენენ.

საკანონმდებლო სექციას შეუძლია წარუდგინოს აგრარულ კომისიას მთელი რიგი მოხსენებებისა საადგილ-მამულო ურთიერთობის სფეროში საკანონმდებლო კითხვების შესახებ.

აგრარულ კომისიამ გადასწყვიტა უპირველეს ყოვლისა განიხილოს საკითხი მიწით სარგებლობის პირობების შესახებ და აქედან გამომდინარე ყველა კერძო კითხვები.

## ცხინვალის ამბები

გუშინ, 21 მარტს ცხინვალიდან დაბრუნდა ამხ. კირილე ნინიძე და შემდეგი გვიამბო: კვირას, 18 მარტს, საღამოს 5 საათზე ცხინვალიდან ორი ვერსის მანძილზე ჩასაფრებულმა სალდათებმა გადასჭრეს ტელეგრაფის მავთული. 6 საათზე მთებიდან სროლა ასტეხეს, როცა მიტინგმა დელეგატების თანადასწრებით მიიღო „აჯანყებულთა“ მოთხოვნილებები. წითელი გვარდია გიორგი მაჩაბლის მთავარ ხელმძღვანელობით შეუდგა პოზიციების გამაგრებას. „აჯანყებულთა“ ბრბო ყოველ მხრიდან ესროდა ცხინვალს და ათ საათზე ცეცხლიც კი გააჩინა, ირგვლივ ცეცხლი გაუჩინეს ღობეებს და ვენახებს.

ღამის თერთმეტ საათამდე გვარდიამ ხელში ჩაიგდო ტყვეთ სამოცამდე კაცი. ღამის თორმეტ საათზე სროლა შესწყდა და კვლავ განახლდა დილის ხუთ საათზე. თორმეტ საათზე გამოირკვა, რომ გვარდიას პატრონები არ ყოფნიდა. ეს გაიგეს თავდამსხმელებმა და ორი საათიდან იერიში გააძლიერეს. დაახლოვებით სამ საათზე ცხინვალი აიღეს. გიორგი მაჩაბელი დაიჭირა თავდამსხმელების შემოსვლის წინ, ჭრილობა შეუხვიეს და საავადმყოფოში მოათავსეს, მაგრამ სალდათებმა გამოიყვანეს და ხიშტებით მოკლეს. გმირულათ მოკვდა აგრეთვე კოსტა ყაზიევი, რომელიც გაძარცვეს, გაატიტვლეს და ისე დასტოვეს ქუჩაში. სანდრო კეცხოველი მოკლეს ქუჩაში დაახლოვებით 6 საათზე. არავინ იცის სად არიან მილიციის უფროსი არჯევანიძე, ოფიცერი მ. კენჭეხაშვილი და სხვები. მაშო კაპანაძე, პორ. ეფრემიძე და გიორგი გაგლოევი 20 მარტს დღის 12 საათამდე ცოცხლები იყვენ. ბრძოლაში დაიჭრა სამი გვარდიელი. რამდენი დაიჭირეს ცოცხლათ და რამდენი დახჩრიტეს არავინ იცის. ჩემს იქ ყოფნის დროს დასწვეს სამი სახლი. გაძარცულთა რიცხვის გამორკვევა შეუძლებელია. ძარცვავდენ ყველას, ვისაც კი მოასწრობდენ, მიჰქონდათ საათები, ფულები, მანუფაქტურა, კოვზები, საცვლები; ქალებს ბეჭდებს აძრობდენ თითებიდან. იყო შემთხვევა, რომ წაიღეს აკვანი. მტაცებლობა ხდებოდა აშკარათ: ცალ ხელში ვინტოვკა ეჭირა სალდათებს, ზურგზე სავსე ტომარა ქონდა წამოკიდებული ან რამე ავეჯი და ისე მიდიოდა. მომიხდა ლაპარაკი ეგრეთ წოდებულ „იდეიურ“ სალდათებთან: ესენი აღშფოთებულნი იყვენ ძარცვით, ამბობდენ —ჩვენ მხოლოდ თავადებს და წითელ გვარდიას ვებრძვით, და ხალხს ვიცავთო. ეტყობა, ღრმად არიან დარწმუნებული, რომ გვარდია თავადებისაგან არის მოყიდული. როცა ცხინვალი „დაიპყრეს“ აირჩიეს დამცველი შტაბი. საინტერესოა, რომ დიქტატურული უფლებებით აღჭურვეს ინჟინერი რუთენ გაგლოევი, რომელიც რწმენით სოციალდემოკრატია და პარტიულ ამხანაგების ნდობითაც სარგებლობს როდის გაჩნდა ის ცხინვალში არავინ იცის. ცხინვალი აიღეს მაგრამ მეთაურები შეშინდენ. გორიდან გვარდია მოვა და დაგვსჯისო. აირჩიეს დელეგაცია, რომელში მოვხვდი მეც. მოგვანდეს შეგვეჩერებია მიმავალი რაზმი. ჩვენ გზაზე შეგვხვდა გვარდია, მაგრამ უმჯობესათ სცნო წინ წაწევა. 21-ს საღამოს ეს გვარდია დაბანაკდა ცხინვალიდან ორი ვერსის მანძილზე. გუშინ დილით ფიქრობდენ დაბაში შესვლას. გორში სამშაბათიდანვე დიდი მზადება დამიხვდა. სამშაბათს საღამოს გორიდან გავიდა ფედერალისტების რაზმი, ხოლო ოთხშაბათს დილით კონიევის რაზმი რაზმი გზა და გზა ტელეფონს დგამს, რომ ამ გზით იქონიოს გორთან კავშირი. ოთხშაბათს დილით გორში ამბავი მოიტანეს—ქარელის და გომის მხრით მოდიან შეიარაღებული ბრბოები, რომ ამ გზით დაეცნენ ცხინვალსო. კომისარი ჯაფარიძე, მე და გორის ქალაქის თავი რობაქიძე ჯავშნიანი მატარებლით გავემგზავრეთ. ქარელში მიტინგი გავმართეთ, გომში ვინახულეთ გვარდიის შტაბი. საღამოს რაზმი გაიგზავნა გორიდან.

ორასი კაცი გამოემგზავრა ყვირილიდან. გლეხებმა სიტყვა მომცეს, რომ ტელეგრაფს და რკინის გზას დაიცავენ. ეტყობა, ხალხი გაუგებრობიდან ერკვევა და დიდი სახალხო მოძრაობა იწყება. არის მიმდინარეობა, თუმცა სუსტი, რომელიც ცდილობს ნაციონალური ხასიათი მისცეს მოძრაობას. მეორე მიმდინარეობა წმინდა სალდათურია: ფრონტიდან მოსული სალდათები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ სოფლის მართვა-გამგეობა. მაგალითად, სოფელ ტყვიავში სალდათებს გადაუჭრიათ ტელეგრაფის მავთულები და გაურეკიათ სოფლის კომისარი, კომიტეტი და სხვ.

## კავკასიის ფრონტი

(ოფიციალური ცნობა)

21 მარტი.

შავი ზღვის პირათ აჭარელებთან სროლის დროს დაიჭრა პრაპ. ქელბაქიანი.

სარიყამიშის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს სოფელი გერაშკიანი, რომელიც ბარდურიდან 3 ვერსის მანძილზე მდებარეობს.

## ომი

**პარიზი.** მთელი დღის განმავლობაში საომარი არა მომხდარა რა. მონდიდიეს ჩრდილოეთით საარტილერიო ბრძოლაა. ფრონტის დანარჩენ ნაწილზე არაფერი მომხდარა.

## ბაქოს ამბები

**ბაქოდან** გუშინ, 22 მარტს, პირდაპირი მავთულით თფილისში შემდეგი ცნობა მოვიდა:

მუსულმანებსა და ბალშევიკებს შორის მოხდა შეტაკება შემდეგ საფუძველზე: მუსულმანებმა სცნეს სახალხო კომისართა საბჭოს მთავრობა, დასთანხმდენ „გარეული დივიზიის“ დაშლაზე.

ნაციონალური ჯარები და მათ შორის სომხური ჯარის ნაწილებიც უნდა გაყვანილ იქნენ ბაქოს რაიონიდან, ან უნდა დაემორჩილონ საბჭოს.

მოძრაობის აღდგენა თფილისამდე და პეტროვსკამდე. მუსულმანებს იარაღს ჰყრიან.

ამბობენ, მოკლულია ნავთის მრეწველნი მუხტაროვი, ასადულაევიო. მუსა-ნაგიევი და ტაგიევი ტყვეთ არიან წაყვანილნი.

ბალშევიკების ბელადთაგანი მკვდარი არც ერთი არ არის. ერთი კაცი ვნახეთ, რომელიც ამბობს: ბალშევიკებსა და მუსულმანებს შორის დადებული ხელშეკრულობის ქაღალდი ვნახე. ხელმოწერილია ჯევანშირსკის მიერ. ვისაც არ შევეკითხე ტელეფონით, პასუხი ვერ მივიღე. ტელეფონის მავთულები დაგლეჯილია.

## ახალი ამბები

**დონის როსტოვიდან** ჩამოსულმა ამხანაგმა გუშინ შემდეგი გადმოგვცა: როსტოვში ამ დღეებში დამთავრდა მუშათა დეპუტატების საბჭოს არჩევნები. აირჩიეს—მინშევიკები 52, ბალშევიკი—50, ესერი—ცენტრის—8, უპარტიო—14, ებრაელთა ნაციონალ. პარტიის—1.

◆ **მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის** მორიგი სხდომა შესდგება დღეს 23 მარტს, სასახლის თეთრ დარბაზში საღამოს 7 საათზე, დღის წესრიგი: ამიერ-კავკასიის პოლიტიკური ვითარება—მოხსენება ირ. წერეთლისა, თერგის ოლქში მომხდარი ამბები, მოხსენება ზვონარიოვისა: მიმდინარე საკითხები.

◆ **ერობის გარშემო.** ზოგიერთ მაზრებში უკვე შეუდგენ ერობისათვის პრაქტიკულ მუშაობას. ქუთაისის, თფილისის, გორის, სენაკის და სხ. მაზრების აღმასრულებელმა კომიტეტებმა აირჩიეს საერობო კომისია და ინსტრუქტორები. მთავარ ინსტრუქტორ ბ. თევზაიამ საერთო ხელმძღვანელობა ქუთაისის გუბერნიაში მიანდო გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტს და საჭირო თანხაც გაუგზავნა. მთავარ ინსტრუქტორის ამხანაგი ბ. მგალობლიშვილი გაემგზავრა თელავში.

◆ **ქართველ ქალთა** სანიტარულ რაზმის კომისია აცხადებს, რომ მოწყალე დების კურსებზე ლექციები დაიწყება დღეს 3—6 საათამდე. ბინა: ქუენის ქ. მელიქიშვილის სამკურნალო. პრაქტიკული მეცადინეობა იქნება ქალაქთა კავშირის ლაზარეთში № 51.

◆ **ქალაქის მიერ მიღებული** ტრამვაის ახალი ტარიფი შედის ძალაში 24 აპრილიდან, გარდა ნაძალადევის და დიდუბის ლიანდაგებზე.

◆ **სალიტერატურო საღამო.** მეოთხე რაიონის კლუბში (უდელ. ქ. მეექვსე გიმნაზია) შაბათს, 24 მარტს, გაიმართება სალიტერატურო საღამო. ეს საღამო უნდა გამართულიყო 17 მარტს, მაგრამ დამოუკიდებელ მიზეზების გამო გადაიდო. აღებული ბილეთები გამოდგება.

◆ **ქალაქის თვითმართველობამ** დაადგინა დაევალოს სასურსათო კომიტეტების წევრებს რევიზია მოახდინონ უბნის სასურსათო კომიტეტებში.

◆ **ქალაქის გამგეობის დადგენილებით** თითო პურის ბარათზე მცხოვრებლებს 25 კაპ. გადაახდევინებენ.

◆ **ქალაქის თვითმართველობა** დღეში 130 ათას მანეთს აძლევს სასურსათო კომიტეტს ფქვილის სასყიდლათ. კომისარიატის მიერ მიცემული ფული ქალაქს ამ დღეებში გაუთავდება, რაიც მეტად სერიოზულ მდგომარეობაში აყენებს ქალაქს.

◆ **ქალაქის სასურსათო განყოფილების** სოც.-დემ. (მენშევიკები) მოსამსახურეებმა თავიანთ ფრაქცია დაარსეს. ეს ფრაქცია შეთანხმებით იმოქმედებს ქალაქის სხვადასხვა განყოფილების მოსამსახურეთა მენშევიკთა ფრაქციებთან. აღმასრულებელ კომიტეტში აირჩიეს: კაკაბაძე, ანტონოვი, ახმეტელიშვილი, ინწკირველი, რუხაძე, შილაკაძე და მაშკარიანი. ვისაც პარტიული მანდატები აქვს, სთხოვენ ჩაეწერონ კოლექტივის წევრებთან.

◆ **პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს** მორიგი სხდომა შესდგება დღეს, 23 მარტს, საღამოს 6 საათზე. დღის წეს-რიგი: ცენტრალური შემრიგებელი კამერის წესდების პროექტის განხილვა; შემრიგებელი კამერის დადგენილების სავალდებულოთ გახდის შესახებ; სარევიზიო კომისიის არჩევა და მიმდინარე საკითხები. საბჭოს წევრებს სთხოვენ აუცილებლათ დანიშნულ დროზე გამოცხადდენ.

◆ **ქართულ პრა-კერვის** სკოლის საშუალებათა გასაძლიერებლათ კვირას, 25 მარტს გაიმართება დილის წარმოდგენა სახაზინო თეატრში ქართულათ ოპერეტა „არშინ მალ ალან“. იმედია ქართველი საზოგადოება თანაგრძნობით მოეპყრობა საქველმოქმედო საქმეს.

◆ **თავდაცვის შტაბის** განკარგულებით დაატუსაღეს საერობო კავშირის ავტომობილის კომანდის ჯარისკაცი კუზმინი იარაღის გაყიდვისათვის. ამავე შტაბის განკარგულებით შეიპყრეს იოსებ კინი, ივანე ბილინი, სიმონ დაცენკო, რომლებსაც ყალბი დოკუმენტებით მიღლოთ თფილისის სადგურიდან სხვის ბარგი.

◆ **თფილისის პოლიტეხნიკუმთან** მომავალ ენკენისთვეს გაიხსნება საეკონომიო ფაკულტეტი, სადაც იქნება შემდეგი კათედრები: სტატისტიკა, პოლიტიკური ეკონომია, საეკონომიო მეცნიერებათა ისტორია, საზოგადო ისტორია, აღმოსავლეთის ისტორია, სახელმწიფო უფლება, უფლების ისტორია და უფლების ენციკლოპედია. ამ კათედრების დასაკავებლათ გამოცხადებულია კონკურსი. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს კონკურსში უნდა განცხადება შეიტანოს პოლიტეხნიკუმში 15 აპრილამდის. განცხადებასთან ერთათ წარდგენილი უნდა იქნას მთხოვნელის დაბეჭდილი სამეცნიერო წერილები.

◆ **თფილისის აფთიაქებში** მომუშავეებმა წარუდგინეს პატრონებს შემდეგი მოთხოვნილებანი: მუშებს ნაცვლად 153

---

## სახელმწიფო და კომუნა

I.

ახლა შემდგარ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას ისეთ პირობებში უხდება ფეხის გადადგმა პოლიტიკურ და კულტურულ სამეურნეო აღმაშენებლობის გზაზე, რომელი პირობებიც მეტად საძნელო საქმეთ ხდიან იმ გვარი ნორმების და ორგანოების შექმნას, რომლებიც დააკმაყოფილებენ ჭეშმარიტი დემოკრატიის მოთხოვნებს.

ამ დაბრკოლებათა გადალახვას შესძლებდა ამიერ-კავკასიის დემოკრატია იმ შემთხვევაში, უკეთუ ის შემდეგ პირობებს დაიცავდა: პირველი ამ პირობათაგანი იმაში მდგომარეობს, რომ რესპუბლიკის შემადგენელ თვითმმართველ ნაწილებში ადგილობრივი, როგორც სულიერი, ისე მატერიალური ძალები უნდა გამოყენებულ იქნან, რაც შეიძლება ფართოდ და ძლიერათ—სულიერი და მატერიალური მოთხოვნანი ადგილობრივ უნდა დაკმაყოფილებულ იქნან, რაც შეიძლება ზედმიწევნით და ყოველმხრივ.

რათა ზემოთნაჩვენები ორი მიზანი განვახორციელოთ, ამისთვის საჭიროა, რომ ის შრომა, რომელიც საჭირო იქნება როგორც სახელმწიფოს მთელის, ისე მისი ნაწილების სამსახურით, უნდა განაწილებულ იქნას თანასწორათ ცენტრალური მთავრობის და ადგილობრივ თვითმართველობებს შორის.

ეს უბრალო და ბუნებრივი მოთხოვნანი, რაიც სავსებით გამოხატავს დემოკრატიის მისწრაფებას და შეიცავს მეცნიერულ დასაბუთებასაც, დღემდე არ ტარდება ცხოვრებაში; მხოლოდ დემოკრატიული ქვეყნების მცირედი ნაწილი და ისინიც ნაწილობრივათ ახორციელებენ ცხოვრებაში ამ პრინციპებს თავიანთი სახელმწიფოებრივი საქმეთა მოწყობის დროს.

ის ისტორიული პირობები, რომელთა წყალობით შეიქნა მონარქიული რეჟიმი და სახელმწიფო ძალა-უფლების ერთის ან რამდენიმე პირის ხელში მოხვეჭა გახდა შესაძლებელი, ხელს უშლიდა გონივრულათ გატარებულიყო ცხოვრებაში უფლებანი და მოვალეობანი ცენტრალურ მთავრობასა და ადგილობრივ თვითმართველობათა შორის.

II

**საფრანგეთი.**

რევოლიუციამდე საფრანგეთში მეფემ სავსებით დაიმორჩილა ადგილობრივი თვითმართველობანი და მათი გამგებლობა გადასცა თავის მოხელეებს. რევოლიუციამ ხელუხლებლათ დასტოვა ძველი ცენტრალისტური პრინციპი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. მერები, (ქალაქის თავები), მათი თანაშემწენი და მოადგილეებიც კი მთავრობის მიერ ინიშნებოდენ და მხოლოდ 1876 წ. და 1884 წ. გამოცემული კანონების ძალით საბოლოოდ მიენიჭა უფლება ყველა ქალაქებს აერჩიათ თავიანთი წრიდან ოთხი წლის ვადით მერები და მათი თანაშემწენი. მაგრამ ისინი ახლაც მთავრობის მოხელეებათ ითვლებიან, ვინაიდან ახლაც შეიძლება მათი სამსახურიდან გადაყენება პრეფექტების ბრძანებით ან რესპუბლიკის პრეზიდენტის დეკრეტით. აქ აშკარათ გამოსჭვივის ძველი ცენტრალისტური პრინციპი. მერი ყოველგვარ საქმეებს თითონ განაგებს. „მუნიციპალური საბჭო ისეთი ორგანოა, რომელიც ნაწილობრივათ კიდეც სწყვეტს და აწესრიგებს საქმეებს, ნაწილობრივათ სათათბირო ორგანოც არის, მაგრამ ის არ იღებს დამოუკიდებელ მონაწილეობას მართველობაში არც კომისიის საშვალებით, არც მოსამსახურეთა დანიშვნით; მთელი მართვა-გამგეობა, აგრეთვე მოსამსახურეთა დანიშვნის უფლება, რამდენათაც ეს მინიჭებული აქვს სათემო ორგანოებს, მერის უფლებაა; ის ანდობს თავის თანაშემწეებს და უკეთუ მათ მოცალეობა არ აქვთ,—მუნიციპალურ მრჩეველთა კერძო პიროვნებებს, მართვა-გამგეობის ცალკე საქმეებს, უწევს რა ამასთანავე ანგარიშს არჩევნებზე მიღებულ ხმებს“.*)

მერი ქალაქის თვითმართველობის ხელმძღვანელია და აწესრიგებს ქალაქის როგორც შემოსავალს, ისე გასავალს; ადგენს ხარჯთ-აღრიცხვას და ახორციელებს ქალაქის ქონებათა თვალყურის დევნების საქმეს.

*) რიხარდ ფ. კაუფმანი. ადგილობრივი თვითმართველობის ფინანსიური მეურნეობა ტ. I, გვ. 138—139.

მერი ცენტრალურ მთავრობის აგენტია და ემორჩილება პრეფექტს, როგორც მთავრობის მოხელე, ადმინისტრატიული ფუნქციებით აღჭურვილი.

არა თუ მერი, აგრეთვე მუნიციპალური საბჭოც ექვემდებარება ადმინისტრაციას და ყველა ცოტად თუ ბევრათ საყურადღებო დადგენილებათა სისრულეში მოყვანა შეიძლება მხოლოდ მას შემდეგ, როცა ამის წინასწარ დადასტურებას მიიღებს პრეფექტის ან მინისტრის მხრით.

მუნიციპალური საბჭო წელიწადში იკრიბება ოთხჯერ და თვითეული მათგანი გრძელდება არა უმეტეს ათი დღისა. ეს კრება უმთავრესად საზღვრავს მერის ადმინისტრატიულ მოქმედებისთვის გადადებულ საჭირო თანხის რაოდენობას, მუნიციპალური საბჭო ღებულობს ზოგიერთ ფინანსიურ ზომებს, და ეს მისი გადაწყვეტილება ძალაში შედის უკეთუ პრეფექტი 30 დღის განმავლობაში პროტესტს არ განაცხადებს. სხვა კითხვების და აგრეთვე ბიუჯეტის შესახებ საბჭო მხოლოდ თათბირობს და მას დადგენილებას მხოლოდ მაშინ აქვს ძალა, უკეთუ ის დაამტკიცა პრეფექტმა ან გენერალურმა საბჭომ.*)

უფრო ფართე უფლებით სარგებლობს გენერალური საბჭო. გენერალურ საბჭოს მორიგი სესია, რომელიც სათავეში უდგას დეპარტამენტებს (გუბერნია) ხდება წელიწადში ორჯერ და გრძელდება: პირველი არა უმეტეს ერთი თვისა, ხოლო მეორე არა უმეტეს 14 დღისა.

გენერალური საბჭო ასე თუ ისე წააგავს რუსეთში საგუბერნიო ერობას, მაგრამ შედარებით ფინანსიურ მეურნეობაში უფრო ფართე უფლებებით სარგებლობს, ვიდრე რუსეთის ერობა. გენერალური საბჭოები ერთი წლით ირჩევენ დეპარტამენტის (გუბერნიის) კომისიას 4—7 წევრამდე; უფროს წევრის თავმჯდომარეობით ეს კომისია, როცა სესია არ არის გენერალურ საბჭოს ფუნქციებს ასრულებს, მის ყველა საქმეებს და ქონებას განაგებს და თვალყურს ადევნებს პრეფექტის და მის მოხელეთა მოქმედებას. ამ მხრით საფრანგეთის ძველი გენერალური საბჭო თავის დემოკრატიული ხასიათით განსხვავდება ჩვენი საგუბერნიო ერობის ახალ დებულებისგან. დეპარტამენტების და სახელმწიფოს პროცესებში, სადაც პრეფექტები გამოდიან როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელნი, დეპარტამენტების კომისია იცავს დეპარტამენტის ინტერესებს *).

*) ibid გვერდი 141, ტ. I.

ამ გვარათ საფრანგეთში ცენტრალიზმის გვერდით, რომელიც სრულიად ხელფეხს უბორკავს ადგილობრივ თვითმართველობას და სულსა და გულს აცლის მას, ჩვენ ვხედავთ გენერალურ საბჭოში კომუნალურ ცხოვრების ავტონომიურ უფლების აღვიარების დასაწყისს, როცა ამ საბჭოს უფლება აქვს თვალყური ადევნოს პრეფექტის მოქმედებას და გაანაწილოს სახელმწიფოს მიერ დეპარტამენტებზე გაწერილი პირდაპირი გადასახადები, სახელდობრ: მიწაზე, უძრავ ქონებაზე და სხვა. მაგრამ ამავე დროს გენერალურ საბჭოს ფრიად ფართე უფლება აქვს ცალკე თემების ფინანსიურ მეურნეობაში. როგორც აღნიშნული იყო, თემები სავსებით დამოკიდებული არიან პრეფექტისგან და გენერალურ საბჭოსგან და მას განაგებენ მერები, რომლებიც უმეტესათ მთავრობის მოხელეები არიან.

ეჭვს გარეშეა, რომ ადგილობრივ ცხოვრების მართვა-გამგეობის სისტემა, ქალაქის და ერობათა თვითმართველობების ასე შებოჭვა, ფრიად ხელს შეუშლის გამოიჩინოს მცხოვრებლებმა შემოქმედებითი ძალა და შეუძლებელია მცხოვრებთა შრომა და ენერგია გამოყენებულ იქნეს ადგილობრივ და საზოგადო-სახელმწიფოებრივ მოთხოვნების ფართოთ დამაკმაყოფილებლათ. ასეთი ცენტრალისტური სისტემა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს დემოკრატიისათვის სოციალიზმისთვის ბრძოლაში.

საფრანგეთის სოციალისტები დიდი ხანი არაა თუ სათანადო ყურადღებას არ აქცევდენ ადგილობრივ თვითმართველობებში მუშაობას, არამედ—მათში მონაწილეობის მიღების წინააღმდეგებიც კი იყვენ, მაგრამ ცხოვრებამ მალე დაანახა მათ, რომ არ შეიძლება ადგილობრივ თვითმართველობაში მუშაობის გვერდის ახვევა. გედმა და ლაფარგმა საფრანგეთის მუშათა პარტიის პროგრამა კომენტარიებში აღნიშნეს, რომ „თუ ქალაქის თემები, რომელიც პარტიამ მოიპოვა, მას სრულ თავისუფლების დროსაც პროლეტარიატის სრულ გასამარჯვებელ იარაღათ ვერ გამოდგება, ყოველ შემთხვევაში, იგინი ჩვენ ხელში გახდება ბრძოლის იარაღათ და ახალ ძალების შემოსაკრებათ.*) გედისტები მუნიციპალურ მოღვაწეობას ფრიად მცირე მნიშვნელობას აძლევდენ, მაგრამ 1891 წელს ლიონის კონგრესზე მათ ადგილობრივი თვითმართველობა მსხვილ სოციალურ ძალათ აღვიარეს და თავიანთ მუნიციპალურ პროგრამაში მთელი რიგი მოთხოვნები შეიტანეს, რომლებსაც მიზნათ აქვს ხალხის ფართე მასის ინტერესების დაცვა, მათ მოითხოვეს უფასო სწავლა და სასწავლებლებში უფასო საუზმეს შემოღება ღარიბ მოწაფეთათვის, სამუშაო ქირის მინიმუმი, რვა საათის სამუშაო დღე ქალაქის მუშებისთვის, ღამის თავშესაფარები, მოხუცთათვის თავშესაფარები, უფასო ექიმობა და ღარიბთათვის იაფი წამლები, საზოგადო აბანოების მოწყობა, სახლის პატრონების ხარჯზე სახლების გაწმენდა, მშობიარეთა თავშესაფრები, უფასოთ სამრეცხველოები, მუშათა ბავშვებისთვის სანატორიები, გადასახადისგან წვრილ ბინის დამქირავებლების განთავისუფლება, ცარიელ მიწებზე პროგრესიული გადასახადის დაწესება და სხვა.

მეორე სოციალისტურმა პარტიამ,—პოსსიბილისტებმა (საფრანგეთის სოციალისტების მემარჯვენე ფრთამ), ჯერ კიდევ 1885 წელს შეიტანა თავის პროგრამაში მოთხოვნა გეხადა კომუნა თავის ადმინისტრაციის, თავის ჯარის ხელმძღვანელათ, თავის ბიუჯეტის სრულ პატრონათ; საზოგადოებრივ წარმოების პატრონათ, რაც პოსსიბილისტების აზრით არა თუ შეძლებს მისცემდა საზოგადოების იმ გვარად გარდაქმნის, როგორათაც ეს სასარგებლო იქნებოდა ხალხის მასის ინტერესებისთვის, არამედ ამ მოთხოვნების განხორციელება მომზადების შეძლებას მისცემდა.

*) საფრანგეთის მუშათა პარტიის პროგრამა გვ. 36—39.

საფრანგეთის სოციალისტურ პარტიების გაერთიანების შემდეგ შეიმუშავეს სოციალისტურ პარტიის ახალი მუნიციპალური პროგრამა. ამ პროგრამაში შემდეგი პოლიტ. მოთხოვნები იყო წამოყენებული: ადგილობრივ თვითმართველობათა სრული ავტონომია კომუნალურ საქმეების გადაწყვეტაში, კომუნების უფლებათა გაფართოება, თემთა შორის სინდიკატების დაარსება, რეფერენდუმის ხმარების უფლება, და არჩეულ თანამდებობათა სასყიდლის დანიშვნა. ეკონომიურ სფეროში პარტია მოითხოვდა: საზოგადოებრივ წარმოებათა მუნიციპალიზაციას, მოძრაობის, განათების, წყლის მიწოდების საშუალებას და სხვა. საჭირო სანოვაგის დასამზადებლათ საზოგადოებრივ წარმოებების მოწყობა, როგორც მაგალითად, წისქვილების, სასაკლაოების, ხორცის დუქნების, აფთიაქების და მზა ტანისამოსის მაღაზიების, ქალაქის ყველა დაწესებულებებში მოსამსახურეთათვის და მუშათათვის რვა საათის სამუშაო დღის შემოღება, ყოველ კვირა დასვენების, სამუშაო ქირის მინიმუმის დაწესება და სხვა. აგრეთვე პროგრამაში არსებითი დამატება შეიტანეს ფინანსიურ საკითხების (პროგრამის ეს ნაწილი შემუშავებული არ არის) ხალხის ჯანმრთელობის, საზოგადოებრივ დახმარების, ჰიგიენის და ბინების საკითხების შესახებ.*)

საფრანგეთის დემოკრატია გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის სახით მედგარ ბრძოლას ეწევა მოუპოვოს ადგილობრივ თვითმართველობას ფართე უფლებები, რომ ამ თვითმართველობების დემოკრატიულ სახელმწიფოს ინტერესებთან შეთანხმებით შესძლებოდა ადგილობრივ მცხოვრებთა საჭიროების დაკმაყოფილება.

**დ. თოფურიძე.**

(გაგრძელება იქნება)

*) საფრანგეთის სოციალისტურ პარტიის კომუნალური პროგრამა, სენტეტიენში დამტკიცებული ნაციონალურ კონგრესზე 1904 წელს.

მან. უნდა დაენიშნოთ თვეში 358 მან. ლაბარატორიაში მომუშავეთა მუშებს ნაცვლათ 195—460 მან შეგირდებს ნაცვლად 150 მან. უნდა დაენიშნოთ 350 მან. პროვიზორის თანაშემწეები ნაცვლათ 300 მან. თხოულობენ 600 მან. პროვიზორები ნაცვლად 450 მან. თხოულობენ თვეში 775 მან.

— **იზოლი მუშის ლექსთა კრებული.** რედაქციამ მიიღო ახალგაზრდა მუშა-პოეტის იზოლი მუშის ლექსებისა და პოემების კრებული „მომავალი". წიგნში მოთავსებულია 90-ამდე ლექსი და ხუთი პოემა, სუფთათ არის გამოცემული და ღირს 4 მან. ლექსებს წამძღვარებული აქვს ივ. გომართლის კრიტიკული წერილი.

— **წვრილი ამბები.** ტყვიების გაყიდვისათვის დაატუსაღეს მე-6 პოლკის პრაპორშჩიკი ლუკა ავრამენკო. პორუჩიკი ბოგნიაკოვი ქუჩაში ჩხუბის ატეხისათვის შეიპყრეს.

— **„ახალი კვალის"** რედაკცია გვთხოვს დავბეჭდოთ შემდეგი: დღევანდელი სიძვირის გამო ჟურნალის საგამომცემლო საქმე კრიტიკულ მდგომარეობაშია. ამავე დროს პროვინციელ ამხანაგებს ჯერ კიდევ არ გამოუგზავნიათ ხვედრი ფული. რაც გამოგზავნეს, ისიც ვერ მივიღეთ, ვინაიდან ადგილობრივი ფოსტა ჯერჯერობით ფულს ვერ იძლევა.

ამიტომ მივმართავთ პროვინციელ ამხანაგებს, დააჩქარონ ჟურნალის ფულის გამოგზავნა. ამასთანავე სასურველია, თუ ფული გამოიგზავნება იმ ახანაგების ხელით, რომლებიც სხვადასხვა საქმეების გამო ჩამოდიან თფილისში, ვინაიდან, როგორც აღვნიშნეთ, ფოსტა ფულს ვერ იძლევა.

საჭიროა ადგილობრივ ამხანაგებმაც დააჩქარონ ჟურნალის ფულის შემოტანა. სარედაქციო და ჟურნალის გამომცემლობასთან შეკავშირებულ სხვა კითხვების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება „ახალი კვალის" რედაქციაში (გოლოვინის პრ. № 12, ტელ. 16—62), ორშაბათობით, ოთხშაბათობით და ხუთშაბათობით საღამოს 5—7 საათამდე.

— **ამ დღეებში** რუსულ ენაზე გამოვა ხელოვნება-ლიტერატურის ჟურნალი „Арсъ" რუსის პოეტის სერგი გოროდეცკის რედაქტორობით. ჟურნალში მოთავსებულია: სერგი გოროდეცკის „მოფერი ვლადო". „აჭარული პოემა", ოვანეზ თუმანიანის „ზაიათები". ნიკო ბარათაშვილის „მერანი". ომარ ხაიამის „რობაიადები" გრ. რობაქიძის „ქართული მოდერნიზმი" და სხ.

**კრებები და მიტინგები.**

დღეს, 23 მარტს, საღამოს 5 საათზე, ნაძალადევის თეატრში დანიშნულია პირველ რაიონის კოლექტივის სომეხ სოციალდემოკრატთა (მენშევიკთა) კრება. დღის წესრიგია: სომხის სექციის დაარსება თფილისის კომიტეტთან. მომხსენებელი იქნება ამხ. მარქარიანი.

## პროვინციის ქრონიკა

**რაჭა.** 9 მარტს აქ მოვიდენ თფილისიდან ამხანაგები, 17 კაცი დელეგაცია, რაჭა-ლეჩხუმში სოფლებს ჩამოივლის. პირველი მიტინგი გაიმართა ჭრებალოში ხალხი თანამგრძნობით შეხვდა დელეგატების მიერ წარმოთქმულ სიტყვებს. მიტინგმა მიიღო ამიერ-კავკასიის მთავრობის და სეიმის ნდობის რეზოლიუცია. დელეგაცია ლეჩხუმში გაიგზავნება. პირველი მიტინგი მოხდება სოფ. აჭარაში, შემდეგ სხვა სოფლებშიც გადავლენ. იქიდან დაბრუნდებიან რაჭაში.

**ივრის ხეობა** (გარეთ კახეთი). 12 მარტს, ღამის 11 საათზე, სოფელ ხაშმში ასტყდა მოულოდნელათ ზარის რეკვა. ამ ამბავზე ხალხმა მოიყარა თავი სოფლის შუაგულში. აქვე მოვიდენ წითელ გვარდიელები. გამოირკვა, რომ სოფ. მუხროვანში მთელი ნახევარი საათის განმავლობაში სწარმოებდა სროლა.

წითელგვარდიელების უფროსი 80 კაცით გაეშურა მუხროვანში, რომელიც მდებარეობს ივრის ხეობის გაღმა ხაშმიდან ხუთი ვერსის მანძილზე. წითელგვარდიელებს გაჰყვენ სხვებიც. რაზმი მივიდა მუხროვანში. გამოირკვა, რომ თვით ჯარისკაცებს აუტეხიათ სროლა, მოუტაციათ იარაღი და მიმალულან. მუხროვანში მდგომ ჯარისკაცებს დაუტაცებიათ აგრეთვე სხვა ქონებაც, ზოგი მალულათ და ზოგი აშკარათ.

**ახალ-სენაკი.** 18 მარტს ნატოხაოს წვრილი კრედიტის ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება იყო დანიშნული. კრებას მოხსენდა წარსული წლის ანგარიშები, აღმოჩნდა, რომ ამხანაგობას წლის განმავლობაში მოუგია 920 მ. და 60 კ., რომლიდან 468 მან. და 24 კ. გადარიცხეს ძირითად თანხაში, 184 მ. და 12 კ. სათადარიგოში, ხოლო დანარჩენი ანგარიშებიდან წვრილი კრედ. ინსპ. გელოვანის წინადადებით კრებამ გადასდო 100 მან. ეროვნულ საბჭოს სასარგებლოთ, ხოლო 168 მან. და 24 კაპ. ქართული უნივერსიტეტის სასარგებლოდ. კრებამ ერთხმად დაამტკიცა გასულ. წლის ანგარიში. კრებამ დაადგინა: მიეცეს თვიურათ საქმის მწარმოებელს 80 მან. ხაზინადარს 35 მან., გამგეობის თავმჯდომარეს 25 მ., მესამე წევრს 20 მ. საბჭოს წევრებს სამ სამი მანეთი, სახლის ქირა წლიურად 400 მან. და სხვა ხარჯები 200 მან. კრებამ განაცხადა სურვილი ქუთაისის გუბერნიის საკრედიტო ამხანაგობათა კავშირში შესვლის და რწმუნებულად ერთხმათ აირჩიეს გიორგი თოფურიძე.

## თავდასხმა გარეშე მტრისაგან.

**ბათუმ-ჩაქვის მიმართულებით**

როგორც სარწმუნო წყაროებიდან სჩანს, აჭარაში ჯემალ-ბეგს დიდ ძალი შეიარაღებული ძალა შემოუკრებია და ბათუმის საწინააღმდეგოთ დაურაზმავს, მშვიდობიან ხალხს საფრთხეს უმზადებს. ბათუმის დამოკრატიასა და ქართველ მაჰმადიანებს შორის დელეგატების მოლაპარაკების შედეგს ბათუმის ხალხი გაფაციცებით ელოდებოდა, ეგები სამშვიდობო პასუხი რამ მოგვიტანოსო. . ბათუმის ქუჩებში ჯგუფ-ჯგუფათ თავს იყრიდენ, ერთი მეორეს ჰკითხავდენ და სხვა და სხვა იმედებით ნუგეშობდენ; ეგებ ავცდეთ ერთმანეთში სისხლის ღვრას და სამუდამო შურის გაღვივებასო; მარა ყველა ეს იმედები ჰაერზე დარჩა.

პირველათ ბათუმში სამხედრო ძალა სუსტი იყო. რადგანაც გარედან მტერს არავინ მოელოდა,—ყველა დიდს და პატარა მოქალაქეს ის აფიქრიანებდა. საკმარისი იყო ბათუმის დასარბევათ რომ შემოქრილიყო, აჭარლების ბრბო.

ბატონობას დაჩვეულ ბეგების ფემაოგიამ და შოვინისტურ წაქეზებამ დაბეჩავებული ხალხი აამხედრა. დაბეჩავებულ აჭარლების მშრომელ კლასს კულტურულ განვითარებაში ქართველები შველოდა და ბეგების ბრძანებლობას ფეხ ქვეშ ნიადაგი ეცლებოდა. ამიტომ მათ ბათუმის დაპყრობაზე დრო იხელთეს, შეუგნებელი მასა წამოუსისინეს, მშრომელი ერი ერთმანეთ გადაჰკიდეს. ჩვენი მოსაზღვრე თათრები ბათუმის სიმაგრეების ხელში ჩაგდებას სცდილობდენ. ცხადია, თუ რა მოგველის ჩვენ ბათუმის დაკარგვით.

ამ საკითხს, რა თქმა უნდა, ფხიზელი გურია ყურადღებას აქცევდა და მომავლის საფრთხეს ითვალისწინებდა.

როცა საკითხი კულტურულათ აღარ წყდებოდა, ისევ იარაღით დაცვა იყო საჭირო და გურიაშიც ქუდზე კაცი გამოვიდა. მიყურებული ბათუმის ციხესიმაგრეები გამოაფხიზლეს,—დასუსტებულ მომაკვდავ კუთხეს სული ჩაბერეს. მათ მოსახლე საქართველოს სხვა კუთხეებიც მხარში ამოუდგნენ და დღეს საერთო ძალით განმტკიცებული, ბათუმის ამაყი ციხე სიმაგრეები მომხდურ მტერს პირ-იქით ემუქრება.

ბათუმს ხმელეთით, სადაც ქორობი ზღვაში ერთვის, იქიდან დაწყებული, ჩაქვის თავამდე თათრის მრავალრიცხოვანი ჩეტნიკები არტყია. რკინის გზასაც საფრთხე მოელოდა. ამ თვის პირველ რიცხვებში დაქირავებული გზის მცველები ნატანების სადგურამდე არიან დაბანაკებული. და თან რკინის გზის შეიარაღებული მუშებიც ეხმარებიან გზის დაცვაში.

13 მარტს ჩაქვის თავში გამოჩდენ მრავალრიცხოვანი შეიარაღებული ოსმალთა ჩეტნიკები, რკინის გზის მახლობლათ თითქმის 7 ვერსის მანძილზე. ეს ქობულეთიდან მთელ სადარაჯო პუნქტებს აცნობეს, რომ რკინის გზა ფრთხილათ დაეცვათ. მცველებიც, რასაკვირველია, მორიგეობით ფხიზლობდენ და გზებს ათვალიერებდენ. მალე ჩაქვშიც ჯარი მოაშველეს, შესაფერ ადგილზე დაბინავდენ. თოთხმეტში დელეგატები გაუგზავნეს მოსალაპარაკებლათ; სროლა არ ყოფილა. როგორც გადმოგვცეს, დელეგატებისთვის უთქვამთ თათრებს, რომ ჩვენ ნაბრძანები გვაქვს ამ საზღვარზე არავინ გადმოუშვათო.

15 მარტს ქართველი ჯარის მზვერავები ჩაქვის თავის გორას მიუხლოვდენ, თათრებმა სროლა აუტეხეს, სამი ქართველი დაიჭრა. მერმე ჩვენებმაც სროლით უპასუხეს.

სროლა მალე შესწყდა და თავიანთ ბანაკებში ჩადგენ.

ორ ცეცხლ შუა არიან ქობულეთის მცხოვრებნი. ბათუმიდან მოგზაურობის დროს ჩაქვამდე, ზოგიერთ ქობულეთლებთან მქონდა ბაასი. ერთმა სთქვა: ჩვენი მდგომარეობა უხერხულია. ისეთ ალაგზე ვართ, რომ არც ერთი მხარე ნდობით არ გვიყურებს. ამიტომ ჩვენ ორ ცეცხლ შუა ვართ ჩავარდნილი. მუდამ ჩვენ ქართველებთან მეზობლური მისვლა მოსვლა გვქონდა და მათი ამაგიც გაჭირვების დროსაც დაუვიწყარი და დაუფასებელია. ამიტომ ქართველებს ზურგს ვერ შევაქცევთ. მაგრამ რა ვქნათ, ყველანი ერთი შეხედულების არ არიან. ჩვენ თვით გული გვეკვდება, როცა იმ უგუნურებმა არ აციან ვის წინააღმდეგ მიდიან. ქართველებთან ჩვენც ნდობა და კავშირი მოგვისპეს. ჩვენს მდგომარეობას არავინ ითვალისწინებს და ისეთებს გვეუბნება ზოგიერთი ქართველები, რომ ტანში გაგაჟრიალებს კაცსა. ეხლა მტყუანს და მართალს არავინ არჩევს. ყველა ერთ ტაფაში ვიწვით. ვინც ჩაუკვირდება ჩვენს მდგომარეობას, აჭარის ბეგების მონა მორჩილებათ არ უნდა ჩაგვთვალონო.

ივაკი გიორგაძე.

## აბა ჰე, ძმებო.

(ქართლ კახეთ იმერეთს).

აბა ჰე, ძმებო, შეგნების ცეცხლი
ვისაც გიღვივით მძლედ გონებაში,
ვისაც არ გინდათ ხუნდებში ისხდეთ,
სული გხდებოდეთ სხვის მონებაში,—
აღსდეგით ყველამ მახვილით ხელში,
თავგანწირულათ ეკვეთეთ მტერსა
და ვალ მოხდილი წინ წარუძღვით
კაცობრიობას და მშობელ ერსა!
განსაცდელშია თავისუფლება,
ჩვენს არსებობას საფრთხე მოელის,
და ვაი იმას, ვისაც ამ წუთში
შორს მჭვრეტელობა არ აქვს შოველის!
დეე, უგნურნი, მოღალატენი,
ნუ გამოგყვებათ, შინ უსხდენ კერას..
სად გაგონილა სულით მონები
ბანსა აძლევდეს ბრძოლის სიმღერას!?
თავის განწირვა, აღფრთოვანება
მხოლოდ და მხოლოდ გმირთა წესია.
და ეს ვით ძალუძთ იმათ, ვის გულშიც
ხსნის ღმერთს ცეცხლი არ ჩაუკვესია!?
შეხედეთ ერთი ლამაზ გურიას,
ვით ერთი კაცი, ფეხზე სდგას ყველა..
მაშ თქვენც იმათკენ, თუ გინდათ გულით
თავისუფლების და ქვეყნის შველა!!

ვ. რუხაძე.

**ქობულეთი.**

16 მარტს ჩამოვიდა ჯავშნიანი მატარებელი № 4 ვალოდია გოგუაძის მეთაურობით.

17 მარტს მატარებლის უფროსმა ქობულეთში მოიწვია მიტინგი. ხალხმა თავი შეიყარა სადგურზე თვით ჯავშნოსანის წინ. დიდი უმრავლესობა ქართველი მაჰმადიანები იყო.

შინაარსიანი სიტყვით მიმართა ხალხს ვალოდია გოგუაძემ. ეს არ იყო საagიტაციო სამიტინგო სიტყვა. მასში გამოიხატებოდა საბედისწერო წუთების წინ მდგომი ხალხის გაფრთხილება დარიგებები და კატეგორიული წინადადებები.

„რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა როგორც ჩვენ ისე თვით რუსის ხალხს და თქვენც ერთნაირად გვტანჯავდა—სთქვა გოგუაძემ—რუსეთის მშრომელმა ხალხმა დაამხო ეს მტანჯველი მთავრობა. ამ საქმეში კავკასიაც არ ჩამორჩენია სხვას. განსაკუთრებით საქართველოს საპატიო წვლილი აქვს შეტანილი განმათავისუფლებელი მოძრაობის საქმეში. ცხრაას ხუთი წლის მოძრაობის დროს საქართველო და უმეტესად თქვენი მეზობელი გურია მოწინავე რიგში იდგა. მოძრაობა დამარცხდა და მას საშინელი რეაქცია მოჰყვა. ამ დროს აჭარა-ქობულეთის ერთი ნაწილი რეაქციას მიეკედლა და რუსის მთავრობის მამასახლისების და „სტრაჟნიკების" სახით გურიას დამსჯელათ მოევლინა. ისინი კაზაკ ინგუშებთან ერთად მალაყებს გადადიოდა რევოლიუციონურ ხალხის ზურგზე.

მაგრამ დემოკრატიამ არ იცის შურის ძიება. ბოროტებაზედ ბოროტებით პასუხი მას არ სჩვევია და როცა ომის პირველ ხანებში აჭარას თავისივე აცეტებით და პროვოკატორების დაჯერებით საშინელი უბედურება თავს დაატყდა, საქართველომ მას ძმური ხელი გაუწოდა. რითაც შეეძლო, ემსახურა, პატივი სცა, მკურნალათ მოევლინა. ქართველი ვექილები გეგეჭკორის მეთაურობით დატყვევებულ აჭარლებს სიკვდილის სასჯელიდან იფარავდენ, დეპუტატი ჩხენკელი აჭარას მოსიყვარულე დედასავით თავს ევლებოდა, მთელი ქართველობა კი უკანასკნელ კაპიკს არ იშურებდა და აჭარას შველოდა.

ეხლა ყველა კარგათ ხედავს, თუ როგორ დააფასა აჭარამ ჩვენი ნაამაგარი, თუ რეაქციის დროს შავრაზმელი რუსების ჯალათებათ მოგვევლინენ, ეხლა ბარბაროს ოსმალეთის „ჩეტნიკებს" მოუძღვებიან.

ამ დაღუპულ გზაზე აჭარის ხალხი ზოგ სამშობლოს და ხალხის მოღალატეებმა შეაყენა.

ჯემალ-ბეგს მოღალატეობა და ავაზაკობა თავიდან სჩვევია. ის ხან რუსის იმპერატორს შვილობას ეფიცებოდა, ხან სულთანის წინ ხოხავდა, ხოლო მუდამ კი ქურდების ბუდე და ხალხის ტყავის მძრობელი იყო. მან ეხლა დაინახა, რომ რევოლიუციამ ნიადაგი გამოაცალა და ხალხს ძველებურათ ველარ ამოხდის სულს და რომ თავისი ბატონობა და ხალხის ზურგზე პარპაში შეინარჩუნოს, ბნელ საქმეს შეუდგა.

მთელ კავკასიას და განსაკუთრებით ქართველ ხალხს გადაწყვეტილი აქვს თავდავიწყებით ეკვეთოს მომხდურ მტერს და სახლკარი არ ათელვინოს. რევოლიუციონურ ხალხს შეუძლია სამაგალითო მოყვრობა და გულკეთილობა, მაგრამ თუ საჭირო იქნება, მტრობასაც სახელოვანათ შეასრულებს.

ამიტომ, ვინც ხელს შეგვიშლის თავდაცვის საქმეში და წინ გადაგვეღობება, მას დაუნდობლათ მოვექცევით და გავანადგურებთ რევოლიუციის და სამშობლოს მოღალატენი ჩვენ დავჰკრიტეთ და მოვსპეთ თვით ჩვენ მოძმეთა შორის: ქუთაისში, გორში, თელავში და სხვაგან და ცხადია, ამას უნდა მოელოდეს ყველა, ვინც ღალატს განიზრახავს.

ქართველი მაჰმადიანების ვალია, თუ არ უნდათ დაიღუპონ და კარმიდამო გაინადგურონ, არ აყვენ პროვოკაციას. უმრავლესობამ უნდა ალაგმოს და დაიმორჩილოს გზაკვალ აბნეული უმცირესობა. განაგრძეთ ოჯახური მუშაობა და დახიზვნა-გაქცევას თავი მიანებეთ, ვინაიდან თუ თქვენ რიგიანათ იქნებით, არავინ არაფერს გერჩისო", დაათავა თავის სიტყვა. მისმა მკვეთრმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა. ასეთივე მიტინგი მან გამართა ჩაქვში.

რ.

## პროვოკაციის ნიმუში

(წერილი თელავიდან).

რევოლიუციის დაწყებისთანავე თელავის და თელავის მაზრის მცხოვრებნი დაიყვენ სამ ნაწილათ და დადგნ სხვადასხვა პარტიის დროშის ქვეშ. ერთ მხარეზე, დიდ უმეტესობამ, განსაკუთრებით მშრომელმა ხალხმა, თავი მოიყარა ს. დ. მუშათა პარტიაში. ხოლო მეორე მხარეზე უდგა ნაწილი ინტელიგენციისა მცირე რიცხვი მუშებით სოციალისტ ფედერალისტების დროშის ქვეშ. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ თელავში ს. დემოკრატები და ს.-ფედერალისტები კარგ განწყობილებაში არიან. დარჩა ნაწილი საზოგადოებისა დიდი მემამულეები (თავადები). მღვდლები და უსაქმო ახალგაზრდობა მათივე წრიდან გამოსულნი. ამათ თავიანთ დროშათ აღიარეს ბურჟუაზიული ნაციონალ-დემოკრატიული დროშა და მიზნათ დაისახეს სოციალისტებთან ბრძოლა.

ვინც ასე არ დაირაზმება და არ იტყვის ვინ ვისთან არის, ის ან ბრმაა პოლიტიკურათ ან მალავს თავის ფიზიონომიის გამოჩენას. ჩვენ იდეური ბრძოლისა არ გვეშინია და არც გაურბივართ, მაგრამ თელავის ნაციონალ-დემოკრატები ისე შორს არიან იდეურ ბრძოლასთან როგორც ცა და დედამიწა ერთმანეთისაგან. მათი ხელობა ს.-დემოკრატების უმგვანო სიტყვებით ლანძღვა-ცილის წამება, დაცინვა და ჭორიკანობაა. აი ეს ამწვავებს მეტათ დამოკიდებულებას და ამას უნდა გაეწიოს ანგარიში. მაგალითად, მღ. ალადაშვილი ისე არ გამოვა ქუჩაში, რომ არ გააფურთხოს ს.-დემოკრატი დაინახოს. ეგვე მღვდელი შემოსილი ეკლესიაში სწყევლიდა ს.-დემოკრ., რისთვისაც შესაფერი გაფრთხილება მიიღო. მეორე მღვდელი ღ—შვილი ეუბნება ახაშნურ გლეხებს: თქვე უბედურებო, რატომ არ გესმით, რომ ს. დემოკრატებს თქვენი დაღუპვა უნდათ, უნდა წაგართვან ყველაფერი, რაც კი გაბადიათო.

ს.-დ—ბს ეძახიან: გამყიდველებს, ერის მოღალატეებს, ქურდებს, ჭუჭყიანებს და სხვა. აი როგორია მათი ბრძოლის იარაღი. ჩვენ ამ ქუჩურ ლანძღვა-გინებას ყურადღებას არ ვაქცევთ, რადგან არც გვეცალა და მასთან, დარწმუნებულნიც ვიყავით, რომ ასეთი გინება ვერაფერს დააკლებს შეკავშირებულს დემოკრატიას, მაგრამ როცა პროვაკაცია პრესაში გადაიქვთ და ცდილობენ ყველაფერი, რაც მათი ჭუჭყიანი ხელით კეთდება, ს.-დემოკრატებს მოახვეონ თავზე, აქ კი, იძულებულნი ვხდებით მოვთხოვოთ პასუხი. „საქართველოს" მე-56 ნომერში მოთავსებულია ვიღაც გ. ყორჩიბაიას წერილი „თელავის ამბების გამო" მეთვალყურეს საპასუხოთ, სადაც წარბშეუხრელათ სწერს: პროვაკატორი მწყერაძე ჩვენი პარტიის წევრი არ არისო. რა თქმა უნდა, ეხლა აღარ არის, რადგან კომისარიატის აკლების შემდეგ ის დაიმალა, მაგრამ მითხარით ერთი: რატომ დაგავიწყდათ, როცა თქვენი პარტიის თავმდებობით რამდენჯერმე იყო ის ციხიდან გაშვებული და ამავე დროს კომიტეტის წევრათ ირჩევდით.

აბა დაამტკიცეთ წინააღმდეგი. დოკუმენტებს ვერ გააუქმებთ, რადგან ის ხელთა გვაქვს. წერილის სხვა ტყუილების განხილვას მე არ შევუდგები, რადგან ვფიქრობ, თითონ მეთვალყურე გასცემს მას შესაფერ პასუხს.

ვიღაც გ. წ.—ს მე მინდა მოვსთხოვო პასუხი, რომელიც მე შემეხება: მეტათ მძიმე ბრალდებას მიყენებს. ბრალდება ასეთია: ვითომ მე სოფ. ახაშენში 4 მარტს გამართულ მიტინგზე ავამხედრე ხალხი თავად-აზნაურობის წინააღმდეგ; ეს მაშინ, როცა ქართლში თავადებს ხოცავდენ. როგორც ხედავთ, ბრალდება მეტათ სერიოზულია და მასთან საპასუხისმგებლო. კითხვა ასე დგას: ან მე ვარ პროვოკატორი და მოვუწოდებ თავადების დასახოცათ ხალხს და ან ამ წერილის ავტორი, რომელსაც თავისი ღვარძლიანი გულის ნადები გადააქვს პრესაში და ცდილობს სხვის პიროვნების ჩირქის მოცხებას. ეს პირველი ბრალდებაა. მეორე ბრალდება უფრო იოლია. ეს შინაურებთან, ჩვენებთან, დაბეზღებაა. ვითომ მე 1914 წელს ქუთაისში, რაც სიზმრათაც არ მომსვლია, აზნაურობის დამტკიცებას ვცდილობდი. ამის შესახებ უნდა ვსთქვა, რომ ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამას კი ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე დაწვრილმანდებოდა წერილის ავტორი.

რაც წითელმა გვარდიამ თელავის ყაზარმიდან გაფანტა ხულიგანი სალდათები და იარაღი აჰყარეს მათ, ბევრმა მოასწრო იარაღით გაქცევა სოფლებში, საიდანაც გვესმოდა, რომ დიდ უწესოებას ახდენენ და მასთან ხმას ავრცელებენ სოფლებში:—წითელი გვარდია თავადების შესყიდულია გლეხების დასარბევათო. ამიტომ თელავის მუშათა საბჭომ აღმასრულებელ კომიტეტთან ერთად გადასწყვიტა დაგზავნოს წითელი გვარდიელები რაიონებში რ ჩამოართვან თოფები ყველას, მე 8 პოლკიდან გაქცეულებს და მასთან გაჰყოლოდენ პროპაგანდისტები მიტინგების გასამართათ და პროვოკაციის გასაფანტათ. სხვათა შორის, ერთ რაიონში მეც დამავალეს ამხანაგებმა წასვლა. ჩვენი სოფლიდან სოფელს გადავდიოდით და ხულიგანების მიერ აღელვებულ ხალხს ვამშვიდებდით და ვუხნიდით წითელი გვარდიის დანიშნულებას, რაც დიდს კმაყოფილებას იწვევდა სოფლებში. ამ დროს მოგვივიდა ცნობა, რომ ს. ახაშენში დაეცენ მემამულე ა. გრემელს და სროლა აუტეხესო. ჩვენ გადავსწყვიტეთ ამ სოფელში წასვლა, რადგან ამბობდენ მე-8 პოლკიდან ბევრია მოსული და მემამულეს ისინი დაეცენო. მილიციონერებმა და გვარდიელებმა აჰყარეს ყველას იარაღი და მეორე დღეს, 4 მარტს დავნიშნეთ დიდი მიტინგი. ჩვენი მისვლა გამოწვეული იყო მემამულის აწიოკების გამო. მე სხვა ნაირათ არც შემეძლო ლაპარაკი. დავკმე ასეთი ველური მოქმედება. მე მოვუწოდე ხალხს, რომ ყოველგვარი თავდასხმა, ოჯახის აწიოკება, დახოცვა, არის ველური და არა რევოლიუციონური საშუალებანი. თავად აზნაურობა როგორც წოდება, არ გამოდის რევოლიუციის წინააღმდეგ. მათ ვართმევთ მიწას, ტყეს და სიკვდილს რაღას ემართლებით. უმეტესობა ემორჩილება რევოლიუციონურ კანონებს და თუ თითო ოროლა გამოვა და ოცნებობს ოსმალეთის შემოსვლით მამულის დაბრუნებაზე და ეპოლეტების დაკერებას, ჩვენ შევსძლებთ მათ წინააღმდეგ ბრძოლას. აი სიტყვა სიტყვით ჩემი სიტყვები. სად არის აქ თავად-აზნაურობაზე მისევა და ამხედრება და თუ ზურგ წამხდარმა ცხენმა ზეცაში კაჭკაჭი დაინახა, ეს რა მაჭავარიანის ბრალია? და განა იმავე სოფელში არ ბრძანდება ვაჟბატონი, ბრწყინვალე გვარის ჩამომავალი, რომელიც ჩემ აგიტაციას ეწევა მობილიზაციის წინააღმდეგ?

და სიამოვნებით მოელის ოსმალეთის შემოსვლას, იქნებ იცნობდე „საქართველოს" ბ. კორესპონდენტო ამ ვაჟბატონს?

დასასრულ: რადგანაც გ. წ. ბრალდებები ჩემ წინააღმდეგ წამოყენებული მეტათ მძიმეა, ამიტომ აუცილებელ საჭიროებათ მიმაჩნია დაინიშნოს სამედიატორო სასამართლო იმავე სოფელში, სადაც აღდგენილი იქნება სიმართლე და ეცნობა საზოგადოებას ვინ არის ჩვენში პროვოკატორი და ვის შეჰყავს შეცდომაში პრესა. ჩემის მხრივ ვასახელებ იმავე სოფელს მემამულე ლადო გრემელს, მღვ. ი. ვაჩიშვილს და მასწავლებელ რობიტაშვილს. წინადადებას ვაძლევ „საქართველოს" კორესპონდენტს გ. წ. გამოიყვანოს სამედიატორო სასამართლოში და დაასახელოს თავის მხრით მედიატორები. ვადას ვაძლევ ერთ კვირას ამ წერილის გამოქვეყნებიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში ვიტოვებ უფლებას ვუწოდო მას შესაფერი სახელი.

სოსო მაჭავარიანი.

## სოხუმის ოლქის გლეხთა მეორე ყრილობა

(გაგრძელება)

თავისი სიტყვის გათავების შემდეგ, ამხ. ჩხიკვიშვილმა ყრილობას წინადადება მისცა მიეღოთ შემდეგი რეზოლიუცია:

„ვცნობთ რა ამიერ-კავკასიის სეიმს, რომელიც გამომხატველია ამიერ-კავკასიის ყველა ხალხთა რევოლიუციონურ ორგანიზაციების და პარტიების ნებასურვილების, უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთ (ამიერ-კავკასიაში) და ვიღებთ რა მხედველობაში, რომ მხოლოდ მისი დახმარებით არის შესაძლებელი მთელი მხარის გადარჩენა შინაურ დანგრევისაგან და ანარქიის ცეცხლისაგან გარედან, სოხუმის ოლქის გლეხთა მეორე ყრილობა თავის მხრივ აღუთქვამს სრულ დახმარებას სეიმს და მის მიერ შექმნილ მთავრობას, ჩვენი მხარისა და რუსეთის დიდი რევოლიუციის მონაპოვართა დასაცავათ.

ამასთანავე ყრილობა დარწმუნებულია იმაში, რომ რუსეთის ერები ახლო მომავალში შეძლებენ სძლიონ ის დაბრკოლებები, რომლებიც ეღობება მათ წინ რუსეთის ახალგაზრდა ფედერატიულ რესპუბლიკის გამაგრებაში, და ყველა ხალხთა წარმომადგენლები მაინც შეიკრიბებიან ერთად ერთ სახალხო დამფუძნებელ კრებაზე, როგორც რუსეთის ყველა რესპუბლიკათა უმაღლეს ორგანოში მთელ მრავალეროვან რესპუბლიკის მშრომელთა ხალხის ინტერესების დასაცავათ".

ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ გამოვიდა მხოლოდ ბალშევიკი ლაკობა. ყრილობამ დაადგინა იმსჯელოს ოლქში მთავრობის შედგენის შესახებ და შემდეგ გამოიტანოს რეზოლიუცია, მიმდინარე მომენტის და ამ კითხვის შესახებ.

საკითხმა ადგილობრივი მთავრობის შესახებ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. ბალშევიკები პირველ კრების შემდეგ დაიბნენ. ისინი დარწმუნდენ, რომ ყრილობის დიდი უმრავლესობა მათი წინააღმდეგი იყო და დაჰყარეს ფარ-ხმალი. ზოგჯერ ლაკობია თუ გამოვიდოდა და ისიც კერძო თავისი სახელით და არა ბალშევიკებისა, სხვა მხრივ მათი ხსენება აღარ იყო. აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი ეროვნულ ნიადაგზე, მარა მალე ამასაც მოეღო ბოლო. სამეგრელოს და აფხაზეთის გლეხებმა შეძლეს გამოენახათ საერთო ენა, ისინი წინასწარ შეთანხმდენ ამ კითხვის შესახებ და მიღებულ იქნა, თითქმის ერთხმად, შემდეგი რეზოლიუცია:

1) „აფხ ზეთი, ხელმძღვანელობს რა ერთა თვითგამორკვევის პრინციპებით, თავის შინაურ საქმეების მოწესრიგებაში აცხადებს თავს დამოუკიდებლათ.

2) აფხაზეთის ტერიტორიაზე მთავრობის უმაღლეს ორგანოთ ითვლება აფხაზთა სახალხო საბჭო.

3) აფხაზთა სახალხო საბჭო შესდგება ყველა რაიონების (უჩასტკების), წარმომადგენლებისაგან (ხუთ ხუთი კაცი თითოეულიდან), რომლებიც არჩეულ უნდა იქნენ ოთხ მუხლიან ფორმულის თანახმად ყველა მცხოვრებლების მიერ, განურჩევლათ ეროვნებისა, სქესისა და სარწმუნოებისა, სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომების გამოკლებით. და ქალაქების თვითმართველობათა წარმომადგენლებისაგან: სოხუმის—2, ოჩემჩირის—1, გუდაუთის—1 და გაგრის—1.

4) ამ მთავრობის შედგენა ენდობა უკვე არსებულ აფხაზთა სახალხო საბჭოს და ამავე ყრილობის მიერ არჩეულ გლეხთა დეპუტატთა საბჭოს.

5) აფხაზთა სახალხო საბჭო გამოჰყოფს თავის წრიდან, ან და იწვევს გარეშეებიდან აღმასრულებელ ორგანოს: ოლქის კომისარს და მის თანაშემწეებს და აგრეთვე რაიონის (უჩასტკის) კომისრებს.

**შენიშვნა:** რაიონის (უჩასტკის) კომისრების თანაშემწეებს ამტკიცებს აფხაზთა სახალხო საბჭო, თანახმად კომისრების წარდგენისა.

6) დაუყოვნებლივ შესდგეს ოლქში სახალხო მილიცია, რომელიც აფხაზთა სახალხო საბჭოს განკარგულების ქვეშ უნდა იყოს. მიენდოს აფხაზთა სახალხო საბჭოს დაამუშავოს საკითხი სამხედრო ნაწილების საერთო კანონების მიხედვით შედგენის შესახებ.

7) ყველა აღმასრულებელი ორგანოები ოლქში ექვემდებარებიან აფხაზთა სახალხო საბჭოს.

8) სცნობს რა ამიერ-კავკასიის სეიმს უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოთ ამიერ კავკასიის ყველა ერებისათვის, აფხაზეთი, როგორც სრულუფლებიანი წევრი ამიერ კავკასიის ერთა ოჯახისა, გზავნის თავის წარმომადგენლებს, როგორც სეიმში, ისე სეიმის მიერ შედგენილ მთავრობაში.

9) გლეხთა დეპუტატთა საბჭო, როგორც კლასიური რევოლიუციონური ორგანიზაცია, სდგას კლასთა ინტერესების დაცვის საფუძველზე, ხელმძღვანელობს რა ამ თვალსაზრისით, თვალყურს ადევნებს რუსეთის დიდი რევოლიუციის ყველა ლოზუნგების განხორციელების საქმეს".

დღის წესრიგში დგას მიწის საკითხი. გლეხები გულმოდგინეთ ისმენენ ყველა ორატორების სიტყვას. შინაარსიან სიტ-

[illegible]

ხები დამარცვეს, გასაღებები, „უდაობიკები“ და სხ. დაიტაცეს. საჭირო დარჩა მათი ხელახლა შეკეთება და საბრძოლველათ მომზადება. ეს საქმე დაევალა სოხუმის სახალხო ლეგიონის სამხედრო სექციას. ბატარეებს იცავდა ლეგიონები, უმთავრესად ახალგაზრდა სტუდენტობა და მოსწავლე ახალგაზრდები. პირველ ბატარეაზე, საიდანაც უნდა ესროლათ ექვს დიუმიან ზარბაზნებიდან, უცაბედათ გასკდა ტყვია, მოგლიჯა ზარბაზანს უდარნიკი და გასაღები და, ვინც კი უკან იდგა, არც ერთი არ გადარჩენილა. იქვე დაიღუპენ სტუდენტი პ. მეტაკსა, ტეხნიკი ბ. იუნოვიჩი, რეალურ სასწავლებლის მოწაფეები გ. მელაძე და გრ. გერსამია. მძიმეთ დაიჭრენ და შემდეგ გარდაიცვალენ სტუდენტი ალ (ქიკო) ადამია და ბატარეის კომანდირი პ. ბოროდინი. ჯერ-ჯერობით გადარჩენ დაჭრილები: სტუდ. პ. გაბუნია, კ. სანაძე და პრაპ. კაზაკოვი. ეს გულშესაზარი ამბავი ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქალაქს და ყველა დაამწუხრა. გლეხთა ყრილობამაც ფეხზე ადგომით პატივი სცა თავიანთ მოვალეობის პირნათლათ ასრულების დროს ტრაღიკულათ დაღუპულთა ხსოვნას და დაადგინა დაესწროს მათ დაკრძალვას.

8 მარტს დილის სხდომაზე ყრილობას უნდა მიეღო რეზოლიუცია მიწის საკითხის შესახებ, მარა, რადგანაც კომისიამ ვერ მოასწრო ამ დროისათვის რეზოლიუციის შედგენა, ყრილობა შეუდგა დღიურ წესრიგის და სხვა მორიგ კითხვების გარჩევას.

გლეხთა ახალი საბჭოს არჩევის შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. არძ. ემუხვარი. იგი მწუხარებით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ პირველ საბჭოს გლეხები არ ეპყრობოდენ სათანადო ყურადღებით. მთელი 8 თვის განმავლობაში კასაში შემოვიდა სულ 90 მან., რის გამო ჩვენ მოკლებული ვიყავით საშუალებას რაიმე გაგვეკეთებიაო. საჭიროა ამიერიდან მაინც თქვენს საბჭოსადმი ასეთ გულგრილობას არ ჰქონდეს ადგილი. მაშინ საბჭო შესძლებს დარაჯათ ედგეს თქვენს ინტერესებს [illegible] შეასრულოს თავისი დავალებანიო. გუმისტის გლეხთა წარმომადგენელი აცხადებს, რომ საბჭოს სასარგებლოთ ჩვენს შორის მოაგროვეს ფული, ორ ორი მანეთი ჩვენი სახელმწიფოს ქვეშევრდომებიდან და ათ ათი მანეთი ოსმალეთის ქვეშევრდომებიდან,—და ჩვენ არ ვიცით, რას მოხმარდა ეს ფულიო. იგი მოითხოვს დაინიშნოს რევიზია. ყრილობამ მიიღო ეს წინადადება. გლეხთა დეპუტატთა საბჭოში არჩეულ იქნა 27 კაცი. ამათში ბოლშევიკების თანამოაზრეა ორი.

ვ. ქ.

(დასასრული იქნება).

## ჯარისკაცთა წერილები

**ბათუმი.** მიხაილოვის საციხოვნო ბატარეიაში ამხანაგების დიდი უმრავლესობა სოციალ-დემოკრატები არიან. ბოლშევიკ-კომუნისტი ერთი არ გვირევია. ერთ ბატარეიაზე არიან გურიიდან ჩამოსული აკეთის და აცანის მოხალისეები. აქვე იმყოფებიან ახალსენაკიდან და ბანძიდან ჩამოსული მეგრელი [illegible]ები, ახალ სენაკის მუშათა საბჭოს თავმჯდომარე გიორგი მალნარაძე, ევტროფი როგავა და სენაკის კომისარი, რომლებიც ამხანაგებთან ერთად ასრულებენ უბრალო ჯარისკაცების ყოველივე მოვალეობას. სამეგრელოდან ჩამოსული ამხანაგების დიდი უმრავლესობა სტუდენტების და ინტელიგენტებისაგან შესდგება. სამწუხაროთ, ჯერ ჯერობით აქ იშვიათად ვხედებით მეგრელ მშრომელ ხალხს.

გურია დღეს თხოულობს შველას, გემუდარება თქვენ, მეგრელებს, სვანებს, ლეჩხუმს, რაჭას, ქართლ-კახეთს და სხვებს ამოუდგეთ მას მხარში და მედგრათ დაიცვათ სამშობლო. შეიძლება ვინმემ იფიქროს: რადგან გურია საზღვარზეა, იძულებულია ასე მოიქცესო,—სრულებითაც არა; გურიამ კარგათ იცის ოსმალეთის იმპერიალისტების სულისკვეთება, რომ ფაშები ბათომით არ დაკმაყოფილდებიან, ბათომის დაკარგვას მოჰყვება რევოლიუციის დასამარება, როგორც გურიაში, ისე მთელ ჩვენ ქვეყანაში. ამიტომ დადვეს თავი გურულებმა. ჩვენც მოგიწოდებთ ჯარისკაცები. იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოწოდება არ დარჩება „ხმათ მღაღადებლისა“. დადგა ყოფნა არ ყოფნის კითხვა, ან სიკვდილი, ან გამარჯვება. თუ გადავრჩით ხომ ბედნიერები ვიქნებით, თუ არა და მაინც არ ღირს ნაძრახი სიცოცხლე. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! სოფლის მშრომელო ხალხო, ჯარისკაცებო, ქალაქის მუშებო, კავკასიის დემოკრატიავ! გვეძახიან ბრძოლაში გამოწრთობილი სარდლები და მასწავლებლები. მოგვიწოდებენ ბრძოლის ველისაკენ, რომ შევინარჩუნოთ მიწა და თავისუფლება, უმისოთ მათ და ჩვენი გამარჯვებაც აუცილებელი იქნება.

საერთოთ ბათომში ყოველ დღე მოდიან მებრძოლი ამხანაგები, ჯარში სულიერი განწყობილება ჩინებულია, ყველას სწამს, რომ ჩვენ გავიმარჯვებთ. ბათომის ოლქში ორმოც წლამდის მობილიზაციის გამოცხადების გამო ლაჩრები რუსეთში გარბიან, უმეტესათ ბერძნები, რუსები და სომხები, ზოგიერთი ქართველები კი ქუთაისის და თფილისის გუბერნიაში მოიპარებიან ქურდულათ. სირცხვილი და ზიზღი მათ! ჯარში სურსათი საკმარისია, ტანისამოსიც არის, ურიგებენ ჯარისკაცებს. სამხედრო ვარჯიშობა სისტემატიურათ მიმდინარეობს დღეში ორჯერ. პოზიციაზე მიმავალ ამხანაგებს ისე უჭირავთ თავი, თითქოს დღეობაში მიდიოდენ. ყველას სწამს, რომ გავიმარჯვებთ. მხოლოდ შიშს იწვევს სომხების ფრონტი განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ერზერუმი დაჰკარგეს. ჩვენი ბატარეიის ჯარისკაცებმა ფიცი დასდვეს ჯარისკაცთა საბჭოს წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე იბრძოლებენ და მტერს ცოცხლები არ დანებდებიან. საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნა ამხანაგები: კიმოთე წულაძე, ხუტუ ხუბუტია, გრიშა პატარაია, ს. კაკაბაძე სწავლობენ როგორც სამთო ზარბაზნების სროლას, ისე თოფებისას და მზათ არიან წავიდენ საითაც მოითხოვს საჭიროება.

ჯარისკაცები დიდი აღელვებულნი არიან აჭარლების მოქმედებით. ყველანი იმას ამბობენ, რომ აჭარლებიდან ღალატს არ მოველოდითო, რადგან დიდი ამაგი მიგვიძღვის აჭარლებზეო. ბევრჯერ ჩვენ მიერ განადგურებას გადარჩენილი აჭარლები დღეს ჩვენ წინააღმდეგ თავისუფლების საშიშარ მტერს ჯამალ ბეგს ამოდგომიან გვერდში. ომის დაწყებისას ნიკოლოზ მეფის ჯარი ანადგურებდა აჭარას, აჭარლების უტაქტო მოქმედების გამო, ჩვენი დეპუტატების ჩხენკელის და ჩხეიძის გაბედული გამოსვლებით გადარჩა განადგურებას აჭარლები. არა ნაკლები სამსახური გაუწევია ჩვენ ხალხს, ნივთიერი დახმარებაც არ მოგვიკლია, მშიერებს პური მივაწოდეთ, სკოლები და საავადმყოფოები დავუარსეთ. ყველა ამის სამაგიეროთ დაგვიძახლეს [illegible] მასწავლებლები და ისე გამოისტუმრეს. დღეს, როდესაც ჩვენი თავისუფლების მტრებს ვხვდებით თოფით ხელში, ბეგების მომხრე აჭარლები ზურგიდან მახვილის ჩაცემას გვიპირებენ. გონზე ვერ მოსულან, არ იციან რას შვრებიან. აჭარას განადგურება არ ასცდება, თუ წინდახედულობა არ გამოიჩინა ამ საბედისწერო მომენტში. ვერავითარი ბრძანება ჯარს ვერ შეაჩერებს, თუ აჭარლებმა გვიღალატეს. არამც თუ ღალატის დროს,—როცა გაიგეს აჭარლები შეიარაღებულია ჯამალ ბეგის მეთაურობითო, ხალხი მოითხოვდა აჭარაში წასვლას საბრძოლველათ. აი ასეთია ჯარის სულიერი განწყობილება. აჭარლებისაგან ჯარისკაცები არას მოითხოვენ გარდა ნეიტრალიტეტისა. იმედები დიდია. ყველას დავიწყებული აქვს პირადი და ოჯახური საქმე. ყველა რევოლიუციის შენარჩუნებაზე ლაპარაკობს. ჯარში დისციპლინა თანდათან მტკიცდება.

სილავან წ—ია.

## სოც.-დემ. პარტიაში

**ველისციხე** (კახეთი). დღემდის აქ არსებობდა მხოლოდ სოციალ დემოკრატიული ჯგუფი, რომელსაც ხელმძღვანელობენ რამდენიმე ახალგაზრდა, მოწინავე პირები. რაც შეეხება სოც.-დემ. ორგანიზაციას ეს არ არსებობდა. თუმცა კახეთის სოფლებისთვის ს. დ. ორგანიზაციები უცხო ხილია დღესაც, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ აქ ველისციხეში, არ შეიძლებოდა ყოფილიყო ეს უკანასკნელი. მით უმეტეს, რომ ველისციხე ბევრათ განსხვავდება კახეთის სხვა სოფლებისაგან, ხოლო ნაკლებათ სიღნაღი თელავისაგან, სადაც რევოლიუციის პირველ დღეებშივე ჩაეყარა საფუძველი პარტიულ ორგანიზაციებს და თუ დღემდის ველისციხეში არ არსებობდა ორგანიზაცია, ამის მიზეზი იყო ის, რომ იმ მოწინავე პირებს, რომელთაც შეეძლოთ ორგანიზაციის ხელმძღვანელობა, უხდებოდათ მეტი წილი სხვაგან ცხოვრება. სხვადასხვა მიზეზების გამო. შეიცვალა რა პირობები მარტის პირველ დღეებშივე არსებული ჯგუფი შეუდგა ენერგიულად ორგანიზაციის მოწყობას, რისთვისაც გამოყო თავისი წრიდან სამი კაცისაგან შემდგარი დროებითი ხელმძღვანელი კოლექტივი, რომელმაც შეიძინა პარტიული ბეჭედი, გამოუშვა მოწოდებები და შეუდგა წევრთა ჩაწერას, რაც დღემდისაც გრძელდება. შეიქმნება რა წევრთა რიცხვი საკმარი, დროებითი ხელმძღვანელი კოლექტივი საჩქაროდ მოიწვევს ველისციხის ს. დ. ორგანიზაციის წევრთა დამფუძნებელ კრებას, სადაც იქნება არჩეული მუდმივი ხელმძღვანელი კოლექტივი. ორგანიზაციის ბიურო დროებით მოთავსებულია ველისციხის აკაკის სახელობის სამკითხველოში. აქვე გაიყიდება პარტიული ბროშურები და მიიღება ხელისმოწერა პარტიულ ჟურნალ გაზეთებზე. ველისციხის ორგანიზაციას დამოკიდებულება ექნება თელავის ორგანიზაციასთან. დროებითმა ხელმძღვანელმა კოლექტივმა დაადგინა ახლო მომავალში მოაწყოს ორგანიზაციის სასარგებლოთ სალიტერატურო სალამო, რომლისთვისაც გადასწყვიტა მოიწვიოს თფილისიდან: გ. ქუჩიშვილი, ვ. რუხაძე და ობოლი მუშა; თელავიდან: კოტე ანდრონიკაშვილი (თელავის ქალაქის თავი და ამ.-კავ. სეიმის წევრი), როგორც ლექტორი.

ჯიბილა.

## პროვინცია

**გურია.** ძველად ქებული გურია თავს არც ახლა ირცხვენს, ახალ განსაცდელს რევოლიუციონური ქალარა გურია ახალი ენერგიით შეხვდა და ეს ასეც იყო მოსალოდნელი. გურიამ არ დაიდგა თავს ალიხანოვ-კრილოვ-ტოლმაჩოვის უღელი, გაუძლო მათ ცეცხლსა და მახვილს და ნუ თუ ახლა დასთმობდა ის მოპოვებულ თავისუფლებას? გურიას ახსოვს რა იყო ოსმალეთის მეზობლობა, მაშინდელი ჭრილობა ჯერ არ გამთელებულა, მას შემდეგ ნახევარმა საუკუნემ განვლო, გურია გამოიცვალა, წინ წავიდა, თავისუფლება და კულტურა იგემა და დღეს როგორ დათმობს, ერთი საუკუნით უკან როგორ დაიხევს.

ასეც ველოდით და ასეც მოხდა—მთელმა გურიამ (ბოლშევიკებმაც კი) თავდაცვა აუცილებლათ იცნეს და ფიციც დასდეს—გაწყდეს ყველა ქალიან-კაციანათ და ერთი მტკაველა მიწა არავის დაუთმონ.

გურიას ჯერ კიდევ რეაქციის დროს განაგებდა პარტიული ორგანიზაციები, თავისუფლების დღიდანაც ეს ორგანიზაციები ჩაუდგენ ხალხის მართვა-გამგეობას სათავეში. გურია სოც.-დემოკრატების მადანიაო, ამბობენ და ამ მადანს წარსული წლის 6 მარტიდან კიდევ მოემატა, სხვა პარტიები სულ ჩაიჩრდილა, მაგრამ გურულებს არც ერთი პარტია არ დაუჩაგრავს, მიუხედავათ იმისა, რომ სხვა პარტიებს არსად ერთი კაცის გაყვანაც არ შეეძლოთ, გურულები მათ მაინც ადგილს უთმობდენ. ასეთმა შეთანხმებით მუშაობამ ნაყოფი გამოიღო, პარტიული კინკლაობა მოისპო და კულტურულ მუშაობას ხელი წარუმართა, მაისში ოზურგეთში დაარსდა ეგრეთ წოდებული ინტერ-პარტიული კლუბი, ყველა პარტია ერთი მეორეს სათანადო პატივისცემით ეპყრობა და აღარც ხალხს უკვირს სხვადასხვა პარტიებში ყოფნა. ამან ერთი მხრით ხელი შეუწყო ს. დ. პარტიის გაწმენდას, ყველამ თავისი ბუდე ნახა, მეორე მხრით ყველა პარტია შეაერთა თავდაცვის გარშემო. ყველა ერთი აზრით განიმსჭვალა—რევოლიუცია და სამშობლო განსაცდელშია და ორივეს შველა უნდა და ყველას გვევალება სისხლით დავიცვათ ერთიცა და მეორეც. აი ამ მიზნით მოხდა პარტიათა კრება და მცირე თათბირის შემდეგ გადაწყდა თავდაცვის საკითხზე ყველა გაერთიანდეს და შესდგეს რევოლიუციისა და სამშობლოს დაცვის გურიის კომიტეტი. ეს მოხდა 26 თებერვალს. კომიტეტი იმავე დღესვე შეუდგა ენერგიულ მოქმედებას, ის აღჭურვეს მთელ მაზრაში უზენაესი უფლებით. ასეთივე კომიტეტები უკვე მოწყო ზოგიერთ საზოგადოებებში და მუშაობენ მთავარ კომიტეტის დირექტივებით. ერთი სიტყვით, დღეს გურია წარმოადგენს სამხედრო ბანაკს, სამხედრო დიქტატურა დისციპლინას თვით ხალხი ანხორციელებს. ხალხს ალღო თვით გრძნობს უკიდურესი გასაჭირის მოახლოვებას და თვით ემზადება ღირსეულად შეხვდეს მას. იმავე ხალხმა მოითხოვა მაგარი მთავრობის შედგენა, თუმც საამისო მიზეზი მას არ ჰქონია, რადგან მთელი წლის განმავლობაში გურიაში არ დარღვეულა წესრიგი, არ მომხდარა თავდასხმა, გაძარცვა, კაცის კვლა და სხვა. მაგრამ რაკი საუკეთესო ძალა დღეს ბრძოლის ველზეა, ამიტომ შინ დარჩენილები შიშობენ—ვაი თუ ნაძირალებმა ახლა იშოვნონ დრო და მოითხოვენ მთავრობიდან მეტ სისასტიკეს. იგივე ხალხი თვით აცხადებს (მიუხედავათ დეკრეტისა) საყოველთაო მობილიზაციას, თვით ადგენენ სიას და თვით ავალებენ ვისაც კი შეუძლია წადი და იბრძოლეო. ბრძოლასთან ერთად გურულები არც შინაურ საქმეს ივიწყებენ: გურიის კომიტეტმა უკვე გამოსცა მოწოდება შეადგინეთ სოფლად მშრომელთა რაზმები, გახადეთ შრომა სავალდებულოთ და პირველ რიგში დაამუშავეთ მებრძოლთა ოჯახების ყანებიო. კომიტეტის მიერ ეს იყო ხალხის ნება-სურვილის დადასტურება, რადგან ერთ ორ ადგილას კომიტეტის განკარგულებამდე თვით ხალხმა მოაწყო მშრომელთა რაზმი.

აჭარის მთების კალთებზე მცხოვრებლებმა თვით მოაწყვეს სადარაჯო ადგილების გამაგრება, თვით მორიგეობენ დღე-ღამ და ყოველ წუთს მზათ არიან საშიშროება მთელ სოფელს აცნობონ. კაცებს არც ქალები ჩამორჩენ და ისინიც ცდილობენ, რითაც კი შეუძლიათ, დაეხმარონ კაცებს. შესდგა ქალთა რაზმი, რომლებიც ჩაეწერენ სათნოების დებათ, ისმენენ ლექციებს და სწავლობენ დაჭრილის მოვლას. ოზურგეთში შედგა ქალთა კომისია, რომელმაც დაივალა ბრძოლის ველზე მყოფ გმირთათვის საჩუქრების შეგროვება. ერთი სიტყვით, გურიის სახსენებელი ან სულ მოისპობა (ყველა გაწყდება) ან მისი სახელი არასოდეს არ მოკვდება.

მწამს, რომ გურია გარეშე მტერს გაუძლებს, გაიმარჯვებს, მაგრამ მას ადგია საშიშარი გასაჭირი მტერზე—უმეტესი შიმშილი. ამ მხრივ საჭიროა დახმარება სიმინდის მიწოდებით.

ანწლაძე.

**ხად. ხანაინი.** 15 მარტს სანაინში, ამხ. ვანო ნავროზაშვილის თავმჯდომარეობით გაიხსნა სანაინის წითელ გვარდიის საერთო კრება. კრებას დაახლოებით დაესწრო ასამდე წევრი. ხად. სადახლოში მომხდარ ამბების შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ ერთხმათ სცნო, რომ „სადახლოში მომხდარ ამბებს, საერთო გამოსვლის ხასიათი არ ქონებია. ის იყო ხულიგანების მიერ მოწყობილი დაცემა, რომლებმაც გაძარცვეს მატარებელი № 641 და წაიღეს 60 ტყვიის მფრქვეველი.

რაც შეეხება ადგილობრივი სომხების მობილიზაციას, რომელიც ითავა ექიმმა მანთაშევმა, ჩვენის აზრით, საჭიროთ მიგვაჩნია პასუხის გებაში იქნას მიცემული, როგორც მანთაშევი, ისე სხვა, რადგანაც მათ არ ქონდათ უფლება ეკისრათ ასეთი მძიმე და საპასუხისმგებლო საქმე.

ამის შესახებ ილაპარაკა სტუდ. დ. დევდარიანმა, ვრცლად შეეხო ამ საგანს და სხვათა შორის სთქვა, რომ ჩვენ ყველა მოწინავე ამხანაგები წინააღმდეგი ვიყავით ადგილობრივი სომხების მობილიზაციის მანამდე, სანამ ჩვენ ამისი ძალა შეგვწევდა, მაგრამ როდესაც პროვოკაციული ამბები გაავრცელეს, თათრებს ტყვიისმფრქვეველები მიჰყიდეს, მათი შეჩერება შეუძლებელი შეიქნა.

ამის შემდეგ, ჩვენ რომ დათმობის გზას არ დავსდგომოდით გაგვანადგურებდენ.

რაც შეეხება ჩვენს მუშაობას, როგორც რკ. გზის მოსამსახურეები ვიცავდით რკინის გზის ინტერესებს, აღვადგინეთ დანგრეული ხიდები, რომლითაც მივეცით საშუალება თფილისის წითელ გვარდიას შეესრულებია თავისი წმინდა მოვალეობა და გარწმუნებთ, რომ თქვენი ენერგიული დახმარებით, თფილისის წითელმა გვარდიამ შეასრულა ის, რაც დაავალა რევოლიუციონურმა დემოკრატიამ.

ამხ. მ. ხვადაგიანმა დაასურათა რევოლიუციონური ტრიბუნალის მნიშვნელობა და მისი აუცილებლობა, რომელიც ერთხმად იქნა მიღებული, ფარული კენჭის ყრით რევოლიუციონური ტრიბუნალის წევრებათ არჩეულ იქნა შემდეგი პირები: ს. პაპისოვი, ტ. ზავაროვი, პ. ინწკირველი, ა. ბოზინოვი და ა. მოხინოვი.

დასასრულ კრებამ მადლობა გამოუცხადა: ვ. ნავროზაშვილს, პ. ანთიძეს, ლეონ. ერქომაიშვილს, ს. სოსელიას და სხვებს, რომლებმაც ჩინებულათ შეასრულეს თავისი მოვალეობა და თავიანთი გამბედაობით ააცილეს ჩვენს ამხანაგებს საშიშარი საფრთხე.

ჩვენთან მსუბუქად დაიჭრა ჩვენი ამხ. ს. სოსელია, რომელიც მოვათავსეთ საავათმყოფოში.

პრ. დვაბზუელი.

**გურია.** თავდაცვის კომიტეტში მონაწილეობა არ მიიღეს ადგილობრივმა ესერებმა. ესერებს გურიაში ყავთ 300-მდე გვარდიელი; ამით უკმაყოფილება ეტყობოდა მათი კომიტეტის ასეთი დადგენილების გამო და საჭიროების დროს ესენი შინაური დაცვის საქმეში ჩვენთან იყვნენ. უკანასკნელად შესდგა იმათი (ესერების) კონფერენცია, რომელმაც როგორც ირკვევა, დაადგინა: მიიღოს მონაწილეობა თავდაცვის კომიტეტის მუშაობაში, გადააყენა სამაზრო კომიტეტი, აირჩია ახალი და გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი თავდაცვის კომიტეტში.

## „ეშ. მათრახის“ ფონდი

მივიღეთ მართა რამიშვილისაგან ამხანაგებში შეგროვილი 26 მ. 50 კაპ. „ეშმაკის მათრახის“ ფონდისთვის.


მარტის 20 გაიხსნა ახალი

**სამკურნალო**

ყოველგვარ ავათმყოფთათვის

ექიმ. ე. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარეტიანცის

სავადმყოფოში არსებობს კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტეხნიკურ ლაბარატორიით

მიხეილის და კიროჩნი ქუჩების კუთხე № 22. (შესასვლელი კიროჩნი ქუჩიდან) ტელეფ. 10—87. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 ს. ნაშუადღევს 3 საათამდე. ვენერიული და სიფილისის ავათმყოფების მიღება საღამოს 5—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 ს., კვირაობით დილის 10—12 საათამდე, ღარიბები უფასოთ მიიღება.

(24—4)

ექიმი ქალი

**რ. გ. შიშლო-საგაშვილი**

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკურ-ქირურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთ და იძლევა ხაზებით დარიგებას. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, სახლი № 82.

**ექიმი გ. გ. მუხაძე**

იღებს სალოსტაქრო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 57; აფიცერთა ეკონომიურ საზ. შენობის პირდაპირ, სახ. სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

ექიმი

**ნ. ი. მახვილაძე**

იღებს შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე დილის 11—12 საათ. და საღ. 4—6 საათ. ადრესი: მოსკოვის ქუჩა № 11.

**ექიმი ვ. გ. ვეფხაძე**

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორათ ნამყოფი იღებს ავათმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 ნაშ. საათამდე, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ. რაზიეზდის ქუჩა, № 19.

ექიმი

**დ. ი. ქორდანია**

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი მისი და შედეგები სისხლ ნაკლებობა. ქრონიკული მალიარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე). ტელ. 14—37

რენტგენის ელექტრო-სხივებით მკურნალობის კაბინეტი ბერლინის უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორის

**გ. გ. მუგრაბიანცისა**

შინაგან ავათმყოფობათა სპეციალისტი. მიიღებიან გულისა და ჭლექით დაავათმყოფებულნი. ყოველგვარი გამოკვლევა, ფოტოგრაფიული გადაღება და წამლობა—სხივებით. მშრალი ჰაეროვანი ვანები, პნევმოტორაქსი, დ'არსენვალისა ტოკი და სხვა. რენტგენო-ფოტოგრაფიული გადაღება წინასწარი ჩაწერით. ავათმყოფები მიიღებიან ყოველ-დღე დილის 9 საათ.—1 საათ. და საღამოს 5 საათ.—7 საათამდე. კვირაობით კი დილის 9 საათ. ადრესი: ბებუთოვის ქ. № 23. ტელეფონი 7—92.

სამკურნალო კაბინეტი

ექიმი ალექსანდრე დავითის ძის

**კეკელიასი**

მიიღება კანისა, ვენერიულისა და სიფილისიანი ავათმყოფები. (914-ს და 606-ს შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ ტელეფონი 14—28

ექიმი

**ვ. ვ. კლდიაშვილი**

შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ღებულობს ყოველ-დღე დილის 12—1 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 4, კუთხე მიხეილის პრ. ტელეფონი 8—48. ვაჟზლის სამკურნალოში მიიღებს ყოველ-დღე დილის 1—2 საათამდე.

ექიმი

**გ. დონხინი**

ყოფილი იასსისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს

თვალის ტკივილებით ავადმყოფებს, დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე. მიხეილის პრ., 76, (ხაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი

**დ. ი. ჯაფარიძე**

მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 ს. მადათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

**ექიმი კ. ი. მვარჯალაძე**

შინაგან და ბავშვთა სნეულებანი ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა. ქინიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო ვეტცელის გვერდით. ტელ. 15—00.

**ექიმი ნ. დ. ცურიაშვილი**

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა.

შინაგან საბავშვო, საზებით და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფთ იღებს ყოველ-დღე შუადღის 12—2 და საღამოს 4—5 საათამ. უფასოთ იღებს ყოველ-დღე დილით 8—9 საათ. მისამართი: ნიკოლოზის ქუჩა, № 7, სიმხოვიჩის აფთიაქის გვერდით.

**ქართული კლუბი**

კვირას 26 მარტს

**ს. ტაიფუნი**

ჟურნალ „პირველ ნაბიჯის“ ფონდის გასაძლიერებლად გამართავს

**დილა-მეჯლისს**

I განყ. არჩ. ზურაბოვი წაიკითხავს რუსულ ენაზე ლექციას ომი და ოსმალეთი.
II განყ. ქართ. დრ. მსახ. კავშ. მიერ ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და შოთაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ვალ. შალიკაშვილის ახალი შარჟი „მოქალაქის სიზმარი“.
III განყ. სალიტერატურო განყ. მონაწილეობას მიიღებენ: თაგუნა, გ. ქუჩიშვილი, შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ს. პართენაშვილი, ობოლი მუშა. ტაიფუნი დ. მეჩონგური, დ. ლიხელი, ს. ერთაწმინდელი, ვანო ბარველი, პ. ფრანგიშვილი და სხვა. დასასრულ „ვაი-ვუის“ იმღერებენ ვასო აბაშიძე და ნ. გოცირიძე.
დასაწყისი დილის 11 საათზე. ბილეთები იყიდება კლუბის კასაში. (3—1)

მიიღება ხელის მოწერა 1918 წლისთვის

ყოველ დღიურ გაზეთ

**„ერთობა“-ზე**

ხელის მოწერის პირობები:

| | |
|---|---|
| 1 თვით — 4 მან. 50 კ. | 6 თვით — 27 მანეთი |
| 2 თვით — 9 მანეთი. | 1 წლით — 50 მანეთი |
| 3 თვით — 13 მ. 50 კ. | ცალკე № ყველგან 20 კ. |

ხელის მოწერის პირობები 1 აპრილამდე (ე. ი. პირველ სამ თვეს) უცვლელ შეუთხვევაში უცვლელი დარჩება,

ხელის შეიძლება შეიცვალოს თუ ბაზრის მდგომარეობამ მოითხოვა.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება შემდეგი მისამართით:

Тифлисъ почт. ящикъ № 199. РЕДАКЦІЯ „ЭРТОБА“.

ამხ. და თანამშრომლებთ მხოლოდ ხელის მოწერას ნუ დააგვიანებენ.